№8 (29) აგვისტო, 2002 ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტიელი

სპორტული ჟურნალი

3 ირაკლი პერტაია
**ოქროს ზოდი**

4 მამუკა კვანტალიანი
**ევროპა!..**

5 ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან
**არ მომწონს რუდი ფიოლერი**

10 სოლომონ გულისაშვილი
**შრომამ შექმნა კანი**

12 გიორგი დარჯანია
**წმინდა ლუის ბაზრობის ბიჭები**

16 ირაკლი გამყრელიძე
**ალალი თეატრი**

20 გიორგი დარჯანია
**თერთმეტმეტრიანი სტატისტიკა**

22 ვაჟა ხუციშვილი
**SANTA BARBARA**

26 ლევან კილაურაძე
**თავისუფალი ჩოგბურთის მომხრე**



9 გვერდი. ოლივერ კანი (გერმანია, ბაიერნი). REUTERS
14-15 გვერდი. რონალდო (ბრაზილია, ინტერი). REUTERS
I სპარტა — ტორპედო 3:0. რომან ახლკაცი და პაველ მარეკი. REUTERS
ნიკა ცქიტიშვილი. REUTERS
II ნიკა ცქიტიშვილი „ბენეტონის“ შემადგენლობაში. REUTERS
III ინგლისი 2002. REUTERS
IV ესპანეთი 2002. REUTERS

რედაქტორი ილია გაგუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულისაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაველიძე
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
ოპერატორი სვეტა დევაძე

მრჩეველთა საბჭო:
ვახტანგ ბზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

მაზმინ სარბიელის დამატება

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ზოდი

## ქართული ზაფხულის მთავარი მოვლენა: ნიკა ცქიტიშვილი NBA-მ წაიყვანა

**ირაკლი პერტაია**

**NBA-ს** გლობუსი 30 სახელმწიფოს იტევს. სწორედ ამდენი ქვეყნის წარმომადგენელი თამაშობს პროფესიულ ლიგაში და მაშინ, როცა მათ შორის ჯერაც ვერ ვხედავთ ევროპის საკალათბურთო გრანდ იტალიას, საქართველო უკვე ამერიკაში მოთამაშე ორი კალათბურთელით დაიკვეხნის — ოკეანგაღმა ოთხ წელიწადს მობურთალ ვლადიმერ სტეფანიას მომავალი სეზონიდან 26 ივნისს „დენვერ ნაგიტსის“ მიერ დრაფტში მე-5 ნომრად აყვანილი 19 წლის ნიკა ცქიტიშვილი შეუერთდება.

აქამდე NBA-ს 56-წლიან ისტორიაში ევროპელი დრაფტის პირველ ხუთეულში მხოლოდ ერთხელ მოხვდა — შარშან „მემფისმა“ მომავალი საუკეთესო ახალბედა, ესპანელი პაუ გასოლი მე-3 ნომრად აირჩია. თუ NBA-ში წასვლამდე ბარსელონელმა გასოლმა ევროპის მოედნები გადატკეპნა და დიდ-პატარას მისი სახელი ეკერა პირზე, ბევრმა ცქიტიშვილის გვარი, დენვერელი რომ გახდა, მაშინღა გაიგო.

დრაფტამდე ნიკა ცქიტიშვილი ევროელიტაში რამდენიმე თვის გარეული იყო და ხმამაღალი სიტყვა ჯერაც არ ეთქვა. იტალიური „ბენეტონის“ შემადგენლობაში ქართველი გახურებისთვის საჭირო დროით თუ ჩნდებოდა და დასამახსოვრებელს იშვიათად აკეთებდა. იგი ერც თავის პირველ ევროგუნდში გამოირჩეოდა შედეგიანობით. ცქიტიშვილი ევროპის საშუალოზე სუსტ ლიუბლიანის „სლოვანში“ ასეთივე დონის მოთამაშედ ითვლებოდა, თუმც მის უკან რომ რაღაც სერიოზული მოჩანდა, ნახევარი წლის წინ დადასტურდა — „ბენეტონი“ „სლოვანთან“ ქართველისთვის ატეხილ დავა-კამათს მანამდე არ შეეშვა, სანამ იგი თავისთან არ დაიგულა.

მაინც, რა დაინახეს ამერიკელებმა ცქიტიშვილში ისეთი, ამხელა ნდობა რომ გამოუცხადეს? ქართველის თამაში ხომ მათ ხეირიანად არც ენახათ (როგორც ვთქვით, ის „ბენეტონში“ იშვიათად ჩნდებოდა).

აი, რა: ნიკა ცქიტიშვილი უნიკალური მონაცემების მოთამაშეა. მისებრი პერსპექტივის მქონე კალათბურთელი არათუ ევროპაში, მსოფლიოშიც ბარე ორი თუ იქნება: „იგი 213 სანტიმეტრია, ასეთები კი უმეტესად ცენტრის პოზიციაზე თამაშობენ, რადგან ვეებერთელა სხეულის პატრონები მოუხერხავნი და ზანტები არიან. ცქიტიშვილის შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა, მოქნილობითა და სისწრაფით იგი თავისზე ბევრად დაბლებს არ ჩამოუვარდება — ბურთს ისე ატარებს და ესვრის, როგორც გამთამაშებელი, ხოლო ტენის და აფარებს, როგორც ცენტრი. საოცარია, მაგრამ ამჟამადლეს სამქულიანების სროლა უკეთ ეხერხება, ვიდრე ფარქვეშ თამაში. ეს NBA-შიც კი იშვიათობაა. მოკლედ, ცქიტიშვილი განსაკუთრებული მონაცემების კალათბურთელია.

თუმცა მარტო მონაცემები რომ ჯერ არაფერს ნიშნავს, ამერიკელებმაც კარგად იციან. მათი თქმით, ცქიტიშვილი ოქროს ზოდია, რომლისგანაც ვარსკვლავის გამოდნობა ადვილად შეიძლება... ამერიკელებს ეს ყველაზე კარგად გამოსდით. ოკეანგაღმა იშვიათად ცდებიან...

დრაფტიდან 25 დღეში „დენვერმა“ ნიკა ცქიტიშვილს სამწლიანი და 6,8-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა.

*„დენვერში“ გადასვლამდე ცქიტიშვილი იტალიურ „ბენეტონში“ თამაშობდა*

*რამდენიმე წამის წინ დრაფტზე მე-5 ნომრად არჩეულ ნიკა ცქიტიშვილს NBA-ს კომისარი დევიდ შტერნი ულოცავს*

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპა!...

## ჯოჯოხეთი ქართველებისთვის

მამუკა კვანტალიანი

უკვე რა ხანია, ქართულმა საფეხბურთო კლუბებმა ევროსარბიელზე „ზაფხულის მობურთალის“ იმიჯი დაიმკვიდრეს. უცბად ვერც კი გაიხსენებთ, ბოლო წლებში როდის უწიეს ჩვენებურებმა შემოდგომის პირს. აგერ, ჯერაც შუა აგვისტო არ ჩამომდგარა, ქართულმა გუნდმა „ვიტ ჯორჯიამ“ კი უსახელოდ დაასრულა ინტერტოტოს საკვალიფიკაციო ეტაპი, ხოლო „ტორპედო“ ჩეხეთში ნათამაშევი პირველი მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას ხელს უქნევს.

გაზაფხულის დამლევს ჩვენში ევროსარბიელზე მოთამაშე კლუბების ვინაობა რომ ირკვევა, იმ დღიდან ვიცით, ევროპაში ქართველებს რა ბედიც ელით, მაგრამ მუდამ რაღაცის მაინც გვეიმედება. თანამედროვე ფეხბურთთან პირველივე კონტაქტი საკუთარ შესაძლებლობებს შეგაცნობინებს, ქომაგი თავს უმწეოდ გრძნობს, თუმცა, ალბათ, აუცილებელია, სიმართლეს თვალებში ჩახედო, რათა არ დაგავიწყდეს შენი ადგილი და სხვისგან რაღაც სასიკეთო შეითვისო.

„ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოზე თამაშის უფლება ფოთის „კოლხეთისა“ და „ბათუმის“ უსახსრობის წყალობით მიიღო. მეტოქედაც ბელგიის ჩემპიონატის საშუალო გუნდი ერგო და ბევრს ეგონა, ვეტერინარები ერთ წრეს მაინც გაივლიანო. მეტოქემ ისეთი გუნდი დაგვახვედრა და მოგვიანებით, თბილისშიც გვაწვია, რომ მისი დამარცხება საძნელო საქმე სულაც არ იყო, მაგრამ ბელგიელებს ხელთ ეპყრათ ერთი ისეთი კოზირი, რამაც ვეტერინარები ხელცარიელი დატოვა. მოწინააღმდეგის გამართულმა ტაქტიკამ, ფეხბურთის ცოდნამ და თამაშის სწორად აღქმამ, ჩვენებურების ნიჭიერება ჩაყლაპა. თითოეული ვიტელი მეტოქეს თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა, თუმცა რაც არ იცოდა ქართველმა, ის გაზეპირებული ჰქონდა ბელგიელს და გაიმარჯვა კიდეც.

ზეინკალი და მეთევზე სტუმრად ორ გოლს რომ გაგიტანს, მაშინ ჩემპიონთა ლიგაში არაფერი გესაქმება. ფარერული გუნდის ძლევა „ტორპედოს“ აქტივში ვერაფრით ჩაეთვლება. ქუთაისელთა ნამდვილი სახე პრაღის „ლეტნაზე“ გამოჩნდა და ჩვენებური გუნდის სისუსტეები ნათლად დავინახეთ. დაქსაქსული უკანა ხაზი, უძლური ნახევარდაცვა და უმოქმედო თავდასხმა — „ლენტაზე“ მხოლოდ ქართველთა განწირული შეძახილები გაისმოდა: „ვებრძოლოთ, არ გავუშვათ!“

ჩინებული პიროვნებაა ვეტერინართა იტალიელი თავკაცი ჯანი კარნევალი. რიონის-პირელთა უკრაინელი დამრიგებლის შესახებაც კარგის მეტი არაფერი გვსმენია, მაგრამ მართლა გუნდის გასაკეთებლად ეს აღარ არის საკმარისი. არც პირობებია ისეთი, ევროსარბიელზე თუნდაც ორი ეტაპის დაძლევას რომ სჭირდება.

REUTERS

*ტორპედოელი შოთა ბაბუნაშვილი პრაღელ ლუკას ზელენკასა და ზდენეკ გრივერას შორის*

ქუთაისი. „ტორპედო“. 17 ივლისი.
5000 მაყურებელი.
ჩემპიონთა ლიგა.
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.
პირველი მატჩი.

**ტორპედო 5:2 B 36 ტორსჰავნი**

1:0 ასათიანი (15) 2:0 იონანიძე (34)
3:0 ასათიანი (47) 3:1 ელაკიუნი (55)
4:1 კვეტენაძე (68) 5:1 პოროშინი (74) 5:2
მორტარსენი (76)

ტორსავენი. 24 ივლისი.
ჩემპიონთა ლიგა.
პირველი საკვალიფიკაციო
ეტაპი. საპასუხო მატჩი.

**B 36 ტორსჰავნი 0:1 ტორპედო**

0:1 ჯანაშია (76)

პრაღა. „ლეტნა“. 31 ივლისი.
9690 მაყურებელი
ჩემპიონთა ლიგა.
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.
პირველი მატჩი.

**სპარტა 3:0 ტორპედო**

1:0, 2:0 ბარანეკი (7,20) 3:0 პოსპიშილი (75)

ლოკერენი. „დაკნამი“. 22 ივნისი.
1000 მაყურებელი.
ინტერტოტოს თასი.
პირველი ეტაპი. პირველი მატჩი.

**ლოკერენი 3:1 ვიტ ჯორჯია**

1:0 ზუნდი (22) 1:1 დოლიძე (30ა) 2:1
გრეტარსონი (45ა) 3:1 კრისტიანსონი (86)

თბილისი. „ლოკომოტივი“. 29 ივნისი.
4000 მაყურებელი.
ინტერტოტოს თასი.
პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი.

**ვიტ ჯორჯია 3:2 ლოკერენი**

0:1 სილა (15) 1:1 გოჩაშვილი (45)
1:2 კიმოტო (54) 2:2 ყიფიანი (61)
3:2 წუწუნავა (90)

# არ მომწონს რუდი ფიოლერი

*„არის მხოლოდ ერთი რუდი ფიოლერი, რომელიც უყვარს გერმანიას“, — მღერიან დღეს გერმანელები. ასეა, რუდი ფიოლერმა თანამემამულეები აამღერა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობამ მისი ისედაც მაღალი ავტორიტეტი უფრო აამაღლა, ვინმე კლაუს ბაუმგარტს კი მას ზე მუსიკა და ტექსტიც დააწერინა ანუ სიმღერა, რომელიც დღესდღეობით გერმანულ ჩარტებში მონინავე ადგილზეა. ერთი ეგაა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარცხის მერე, გერმანელებმა ბაუმგარტის ტექსტში პატარა ცვლილება შეიტანეს და ჩაამატეს: „რუდი, აღდექ, თუ ნამდვილი გერმანელი ხარ“.*

*რუდი ფიოლერის სამწვრთნელო კარიერას დღეს უკვე ფრანც ბეკენბაუერისას ადარებენ და არცთუ შემთხვევით. დაკვირვებული თვალი, მართლაც ბევრ საერთოს დაინახავს, მაგალითად იმას, რომ ორივენი მსოფლიო ჩემპიონობიდან, (როგორც ფეხბურთელები) 10 წლის მერე ჩაუდგნენ ეროვნულ გუნდს სათავეში, თანაც ისე, რომ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ და ორივენი ძალით დაიყოლიეს. ნაკრებში მისვლიდან ორი წლის მერე ბეკენბაუერიც და ფიოლერიც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, „კაიზერ ფრანცმა“ ოთხი წლის მერე პლანეტის მწვერვალზეც აიყვანა გუნდი, „რუდი გოლიათს“ კი ამგვარი წარმატებების ჩინებული შანსი 2006 წელს მიეცემა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანია უმასპინძლებს.*

*მანამდე კი...*

*მანამდე, რუდი ფიოლერის სამსოფლიოსჩემპიონატო შთაბეჭდილებებს გაეცანით. „არის მხოლოდ ერთი რუდი ფიოლერი, რომელიც მხოლოდ „ბილდს“ ესაუბრება“ — ამ რუბრიკით იბეჭდებოდა ხუთი დღის განმავლობაში წერილები გერმანულ გაზეთ „ბილდში“.*

**ვანო ოქროპირიძე**
**ბერლინიდან**

REUTERS

## მორჩა, ჩემპიონი ბრაზილიაა!

— სინამდვილეში არის ორი რუდი ფიოლერი, — ამბობს რუდი. — დიახ, ორი. ერთი ნაკრების მატჩების დროს მინდვრის განაპირას დგას და მთელი ერის თვალთახედვის არეშია. იძულებული ვარ, ასე მოვიქცე, ასეთია ჩემი სამსახური. მაგრამ არის მეორე რუდი ფიოლერიც, რომელიც ყველას ემალება, პომპეზურობა არ უყვარს. აზიიდან დაბრუნებული ნაკრების დახვედრის დროსაც ამიტომ ვცდილობდი სულ უკან ვყოფილიყავი, წინ ფეხბურთელებს ვუშვებდი. არ მსიამოვნებდა, როცა ვუყურებდი, როგორ ზეიმობდა ხალხი ვიცე-ჩემპიონობას. თუმცა მაინც კარგი შეგრძნებაა, როცა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებ და შენზე სიმღერებს წერენ. მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის. ამას ყველამ ერთად მივაღწიეთ — ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა, ექიმებმა.

მახსენდება ფინალის შემდგომი ღამე. იოკოჰამაში, სასტუმრო „შერატონის“ საბანკეტო დარბაზში ვართ ყველანი. საათს დავხედე, სამის ნახევარია. ამ დროს მომღერალმა ჰარტმუტ ენგლერმა მიკროფონი აიღო და დაიწყო: „არის მხოლოდ ერთი რუდი ფიოლერი“... — დარბაზში ყველა აჰყვა. მე კი ვზივარ კუთხეში მაგიდასთან განცალკევებით და არ მემღერება. არ შემეძლო მიმეღო ქვეყნის კანცლერის გერჰარდ შროდერისა თუ ფრანც ბეკენბაუერის მოლოცვა. ვიჯექი მაგიდასთან და ასე მეგონა, გვერდით ხაზთან მდგომი ისევ მსოფლიოს თასისთვის ვიბრძოდი, მეგონა, მისი მოგების შანსი კიდევ იყო. მერე კი მივხვდი, რომ ყველაფერი ჩავლილი იყო და უნებურად ფინალი გამახსენდა. 52-ე წუთი, როცა ჟილბერტო სილვასა და კანის ორთაბრძოლა, ოლის საბედისწერო ტრავმით დასრულდა. „რუდი, რატომ არ გამოცვალე კანი?“ ვიცი, ყველა ამას მკითხავს, მაგრამ მაშინ ხომ არავინ იცოდა, რა მოუვიდა ოლის. მე მის გამოცდილებას ვენდე, მას ადრეც არაერთხელ უთამაშია დაშავებულს. თუ დაშავდა, მაგრამ თქვა, გავაგრძელებო, მორჩა, ესე იგი შეუძლია გაგრძელება. წარმოიდგინეთ, რომ გამომეცვალა და მერე იგივე მის შემცვლელს შემთხვეოდა... მერე დადგა 68-ე წუთი, როცა ანგარიში გაიხსნა. მინდა, ყველასგან განსხვავებით, ამ სიტუაციას ფხიზელი თვალით შევხედო. ეს იყო ტრაგიკული მომენტი, მაგრამ სწორედ ამიტომ არის ფეხბურთი საოცარი. ჯერ დიდი ჰამანი შეცდა, ფეხბურთელი, რომელმაც მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, იმ ეპიზოდში კი ბურთი დაკარგა, ვიხსენებ,

როგორ გაისწორა რივალდომ ბურთი. მაშინ მინდვრის კიდესთან, ჟურანტელმა დამიარა. მერე ისიც დავინახე —, როგორ გაუვარდა ოლის დარტყმული ბურთი და... მორჩა, ყველაფერს მივხვდი, რადგან თამაშამდეც მწამდა, რომ ჩემპიონი პირველი გოლის გამტანი გუნდი გახდებოდა.

## თამაშამდე, შესვენებაზე და თამაშის შემდეგ

რა ვუთხარი ბიჭებს თამაშამდე? გასახდელში 1990 წელი გავიხსენე და ვუთხარი, რომ ფეხბურთელისთვის არ არსებობს უფრო დიდი რამ, ვიდრე მსოფლიოს თასით ხელებშემართული დგომა. დაივიწყეთ ჩემპიონთა ლიგა და ბუნდესლიგა, ეს სულ სხვაა, მოიგეთ თასი თქვენთვის და არა ჩემთვის. ნუ იფიქრებთ 2006 წელზე, არავინ იცის, იქნებით თუ არა მაშინ ფინალში. ასეთი შანსი შეიძლება აღარც მოგეცეთ. შესვენებისას ფეხბურთელები გავამხნევე, ვუთხარი, რომ თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, თუმცა ყურადღებისკენ მოვუწოდე. გავაფრთხილე, რომ ბრაზილიელებს უმნიშვნელო შეცდომის გამოყენებაც კი შეუძლიათ. მატჩის შემდეგ? დავამშვიდე, ვუთხარი, რომ ჩვენი გუნდით მეც ვამაყობდი და გერმანიაც. ვუთხარი, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ჩემთვის ისინი იყვნენ.

მახსენდება მსაჯის საფინალო სასტვენი. კანისკენ გავიხედე. იგი ძელთან ჩამჯდარიყო, მინდორს დაჰყურებდა. კევს ღეჭავდა და მხოლოდ ამით თუ მიხვდებოდით, რომ ცოცხალი იყო. მაშინვე მასთან გავიქეცი, მივუახლოვდი და ვუთხარი: გმადლობთ, ოლი, შენ რომ არა, დღეს ფინალში ვერ ვითამაშებდით-მეთქი. გოლზე არაფერი მითქვამს. ან კი რა უნდა მეთქვა, ორივემ მშვენივრად ვიცით, რომ ასეთია ფეხბურთი.

სანამ ეს ყველაფერი გავიხსენე, კი ხანი გავიდა. საათს დავხედე, ღამის ოთხი ხდება. დარბაზიდან გამოვედი და ოფენბახში ჩემს ვაუს მარკოს დავურეკე. დავბირდი, რომ დავურეკავდი. იმ წუთას მისი ხმის გაგონებაზე მეტად ვერაფერი დამაშშვიდებდა. იმ წუთას ყველაზე მეტად ის მინდოდა, ჩემს ხუთ შვილთან ერთად დასასვენებლად სადმე ისეთ ადგილას წავსულიყავი, სადაც ვერავინ მიცნობდა. გამთენიისას ჩემს ცოლ საბრინას ხელი მოვკიდე და ნომერში ავედით. იქ CNN-ზე თამაშის განხილვას უჩვენებდნენ, ვუყურებდი და მეამაყებოდა, რომ ასეთი გუნდი მყავდა.

## ისევ კანი

ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ სხვები, მაგრამ მე ერთი ვიცი: მიუხედავად ფინალში დაშვებული შეცდომისა, ჩვენ გვყავს გიგანტი: ოლივერ კანი! იმასაც გეტყვით, რომ ოლი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატამდე იყო. თამაშს მერე მასთან რომ მივირბინე, არც კი მფიქრია, ან შემბრალებოდა, ან დამეწყნარებინა. ოლის შესაცოდი არაფერი სჭირს. მადლობა გადავუხადე და ფეხზე ადგომისკენ მოვუწოდე. ცუდი ის არის, რომ მინდვრის მოთამაშის შეცდომა შეიძლება სხვამ გამოასწოროს, მეკარის შეცდომა კი გოლის ტოლფასია.

მახსენდება 1994 წელი, სწორედ მაშინდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიცანი კანი. ის ამერიკაში მესამე მეკარე იყო, მე — ძირითადის მოთამაშე. „კარგი ბიჭი ჩანს", — ეს გავიფიქრე მაშინ, მეტი არაფერი. ჰო, კიდევ მისი შემშურდა, რადგან ის იყო ერთადერთი, ვისაც ჟურნალისტები საერთოდ არაფერს ეკითხებოდნენ. ჩვენ კი შეწუხებულები ვიყავით. ახლა კი დრო შეიცვალა. კანი, გარდა ჟურნალისტებისა, ჩემთვისაც და გუნდისთვისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. თანაგუნდელები თვალებში შესცქერიან და აკვირდებიან, რას იტყვის, რას როგორ გააკეთებს. ისინი მისგან ბევრს სწავლობენ, მათ შორის იმასაც, როგორ უნდა მოემზადო თამაშისთვის.

# გაუმარჯოს ევროპას!

**მაშ ასე**, 2002 გავიდა. შემდეგი 2006-ია — მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგახსენებთ. 30 მისიდან 30 ივნისამდე კაცობრიობამ პირველად იხილა, როგორ მასპინძლობს ფეხბურთელთა უდიდეს შეჯიბრებას აზია. ახლა ჰლანეტის საყვარელი სახეობა ისევ ევროპას უბრუნდება.

ვერავინ იტყვის, რომ „აზიურმა ექსპერიმენტმა" არ გაამართლა. იყო გარკვეული სირთულეები, მეტადრე სტუმრების დაბინავებისა და ბილეთების განაწილების საკითხში, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ყველაფერმა საუცხოოდ ჩაიარა. თუმცა, მოგვიტევეთ და, მსოფლიოს ჩემპიონატს ევროპაში არაფერი შეედრება. შემდეგი მასპინძელი გერმანიაა.

გეხსომებათ, 2006 წლის პირველობის მასპინძლობის უფლება გერმანელებმა ძნელად მოიპოვეს. ამიტომ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, 2002 წლის შეჯიბრებაში ღირსეული გამოსვლა ჭირდებოდათ. მართლაც, რუდი ფიოლერის გუნდმა, რომლისგანაც სკეპტიკოსები არაფერს ელოდნენ, ფინალამდე გაიკაფა გზა.

2006 წლის პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მოგეხსენებათ, ფრანც ბეკენბაუერია. 2002 წლის ჩემპიონატის დღეებში იგი თავისი საქმით იყო გართული — ყველაფერს ათვალიერებდა, კულისებში იყურებოდა და სხვების გამოცდილებას ეცნობოდა. ვფიქრობთ, ორგანიზაციის თვალსაზრისით გერმანელებმა იაპონელებისა და კორეელებისგან მართლაც ისწავლეს რაღაც. ყოველ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურასა და საფეხბურთო მოედნებს „კაიზერ ფრანცი" ვერ დაიწუნებდა.

და მაინც, ბეკენბაუერი და მისი რაზმი ოთხი წლის შემდეგ რაღაც-რაღაცებს სხვანაირად რომ გააკეთებენ, ახლავე ცნობილია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბილეთების ფასებს შეეხება. სავარაუდოდ, სტადიონებზე მოხვედრას ნებისმიერი სოციალური ფენის ადამიანი შეძლებს, თან ნებისმიერ ტრიბუნასა და სექტორში. ამასთან, ასევე სავარაუდოდ, ჩემპიონატი 9 ივნისს დაიწყება და 9 ივლისამდე გასტანს, ანუ ევროპელებს მოსამზადებლად და დამღლელი სეზონის შემდეგ დასასვენებლად დამატებით ათი დღე ეძნებათ.

საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ფედორ რადმანი აქცენტს მეგობრულ ატმოსფეროზე აკეთებს. „დღეიდან ყველას, ადამიანებსაც და ძაღლებსაც, ვეტყვით, რომ გერმანიაში მეგობრულ, თანხმობის ატმოსფეროს შევქმნით." — აცხადებს იგი.

კომუნიკაციათა შეფი ვოლფგანგ ნიერბახი:

„მასმედიისთვის პირობების შექმნაში ძნელია იოკოჰამას, სეულს და სხვა ქალაქებს ვაჯობოთ. ამ მხრივ მათი გამოცდილების გაცნობა მნიშვნელოვანი იყო. აქ სასწავლად ჩამოვედით და ისეთი სახის მიღება, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენთვის რა ხანია ცნობილია, სწორად არ მიგვაჩნია."

რაც შეეხება უსაფრთხოებას, ეს, ცხადია, უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუმცა „აზიაში საფეხბურთო ხულიგნობის" პრობლემა არ არსებობს, გერმანელებს კი ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მოუწევთ. ამ მხრივ ბეკენბაუერი და მისი ხალხი აზიაში ვერაფერს ისწავლიდნენ.

ბოლოს კი ისევ ბილეთებზე:

„ჩვენ, გერმანელები, სიტყვის ხალხი ვართ. 2006-ში სტადიონზე შესასვლელად საკმარისი ფული ყველას ექნება."

ყველაზე დიდი სარგებლობა ოლის თამაშის წინ და შესვენებისას მოაქვს. გასახდელში ის ბევრს არ ლაპარაკობს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას იტყვის ძალიან ხმამაღლა. თუმცა ისეთს, მთელ გუნდს საბრძოლველად დარაზმავს. ბოლოს კი იმას ვიტყოდი, რომ ოლი არა მარტო მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა, არამედ ჩვენი ახალი, ბრწყინვალე ნაკრების მებრძოლი გულიც. მას გერმანული ფეხბურთისგან მადლობა ეკუთვნის და, მე თუ მკითხავთ, იგი საერთოდ გერმანული სპორტის იდეალია.

## როგორ დაიბადა ახალი გერმანია

აზიაში წასვლის წინ იმედი მქონდა, რომ წლევანდელ ჩემპიონატზე გერმანულ ფეხბურთს ღირსეულ ადგილს დავუბრუნებდით. მე მხოლოდ მეიმედებოდა ამისი და დღეს ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ. თუმცა შეიძლებოდა ყველაფერი ძალიან ცუდად დასრულებულიყო. მახსოვს, გადამწყვეტი მომენტის წინ ვიდექით: ან უფსკრულში გადავიჩეხებოდით ან ცამდე ავმაღლდებოდით.

11 ივნისი, 21:21 საათი, კამერუნთან მატჩის პირველი ტაიმი დასრულდა და გასახდელში ვართ. თუმცა იქიდან მინდორზე ათი კაცით გავალთ, რადგან მსაჯმა რამელო გააძევა, კამერუნელები გვიტევენ, წაგება კი ჯგუფში ჩარჩენის ანუ ტრაგედიის ტოლფასია. ფაქტობრივად კედელთან ვართ მიმწყვდეული, მაგრამ უნდა გამოვძვრეთ. გუნდს მივმართე: „ბიჭებო, ცხადია, ჩვენს ტაქტიკაში ბევრი რამა არის შესაცვლელი და ამას გავაკეთებ კიდეც, თუმცა, უპირველ-

*ფიოლერის აზრით, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თანაშემწედ მიხაელ სკიბეს დანიშვნა იყო*

# რინუს მიხელსის აგრი



**რინუს მიხელსი** — „ტოტალური ფეხბურთის“ მამა, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ორი უდიდესი გუნდის: 1970-იანი წლების „აიაქსისა“ და იმავე პერიოდის ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელი, 1974 წლის მსოფლიოს ვიცე და 1988 წლის ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი, ამ ზაფხულს იაპონიასა და კორეაში გამართულ მუნდიალს ასე აფასებს:

„მთავარი, რაც თვალში მეცა და რამაც გამახარა, საკუთრივ შეჯიბრების მაღალი დონე გახლდათ. აქ იმას ვგულისხმობ, რომ ჩემპიონატზე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ შეჯიბრება და დაძაბულობა ვიხილეთ, თუმცა ასევე ნათელი იყო უარყოფითი მხარეც — მსაჯობა. ეს მთელ ტურნირს წითელ ხაზად გასდევდა. ვგონებ, ქომაგებისთვის საინტერესო, — სანახაობრივად მიმზიდველი ჩემპიონატი გამოდგა, ამაღელვებელი. თანაბარი ძალის მეტოქეთა დაპირისპირებაც ხომ მრავლად ვიხილეთ. ოღონდ აქვე უნდა დავეთანხმო მათ, ვინც ამტკიცებს, რომ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი ჩვეულ დონეზე დაბლა იდგა. ამის შედეგია ფანტაზიის ზოგადი ნაკლებობაც, რაზეც ბევრმა ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება. დიდი მოთამაშეები გასულ სეზონში ჩატარებული აურაცხელი მატჩის გამო გადაღლილები იყვნენ. ამასთან, მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებლად დრო ძალიან ცოტა ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ფანტაზიის მქონე, შემოქმედმა ვარსკვლავებმა მუნდიალს დაღი ვერ დაასვეს.

თუმცა, იყო მეორე მხარეც: ნაკრებთა კლასი ამაღლდა. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელები ყველგან საოცარ ზეწოლას განიცდიან და—, შესაბამისად, ყველა ღონეს ხმარობენ გუნდური თამაშის გასაუმჯობესებლად. ფაქტია, დღევანდელ ფეხბურთში შედეგის გარანტიას მხოლოდ გამართული, ორგანიზებული, კოლექტიური მოქმედება იძლევა.

მწვრთნელებზე ზეწოლას კიდევ ერთი რამ მოსდევს. ბევრი მათგანი, შედეგით დაინტერესებული, თამაშის სტილს სრულიად უგულებელყოფს და მთავარ ყურადღებას დაცვას აქცევს, მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ როგორმე გოლი არ გაუშვას. თუმცა, დავუბრუნდეთ ფეხბურთელებს. ჩვენ ვნახეთ, რომ ყველაზე კარგად ბრაზილიელმა რონალდომ ითამაშა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ის დაღლილი არ იყო, ჩემპიონატის წინ ბევრი არ უთამაშია და ამიტომ, როდესაც მას სხვებს ვადარებთ, ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. რონალდოსთან ერთად კი ბრაზილიელთა წარმატებაში დიდი წვლილი რონალდინიომ და რივალდომ შეიტანეს. რონალდინიო და რივალდო ის მოთამაშეები არიან, რომელთაც ფეხბურთისთვის რაღაცის შემატება ხელეწიფებათ.“

REUTERS

*სალტო — კლოზე*

ლეს ყოვლისა, ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ გუნდი ვართ. სწორედ ახლაა ამის დამტკიცების დრო." ორი სიტყვა კანმაც დაუმატა. ფეხბურთელები უცებ გარდაიქმნენ და საბრძოლველად შეიმართნენ. რამდენიმე წუთში მივხვდი, რომ ეს ბიჭები ყველაფრისთვის მზად იყვნენ. გასახდელიდან მინდორზე რომ ვბრუნდებოდით, უკვე ვიცოდი, რომ იქ, გასახდელში, ახალი, ძალიან დიდი გუნდი დაიბადა. ეს იყო გერმანული ფეხბურთის მაგიური მომენტი. თუმცა, ეს დრო რომ უნდა დამდგარიყო, ვგრძნობდი. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვხვდებოდი, რომ მალე მოვიდოდა დრო, როცა ნამდვილი გუნდი გვეყოლებოდა. რადგან სულ უფრო მეტად ყველა მხრიდან თანაგრძნობას ვხედავდი. განსაკუთრებით ორ კაცს ვუხდი მადლობას: კარლ-ჰაინც რუმენიგეს და რაინერ კალმუნდს. კალე ჩემი მწვრთნელობის პირველ წელს ძალიან დამეხმარა. იგი ფაქტობრივად საფეხბურთო კავშირისა და ბუნდესლიგის შემაკავშირებელი იყო. კალმუნდისგან კი ძალიან ბევრი ვისწავლე. იგი ყოველთვის მზად იყო გვერდში დამდგომოდა. ინგლისთან მიუნხენში 1:5 რომ წავაგეთ, მაშინ მამაჩემს ინფარქტი მოუვიდა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში წავედი. სასტუმროში გამთენიისას დავბრუნდი. ცოცხალმკვდარი ვარ, თავს სრულიად მარტო ვგრძნობ. ფოიეში შევედი და რას ვხედავ, — რაინერი ზის და მოთმინებით მელის. ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. მე და კალი დავსხედით და გარიჟრაჟამდე ვისაუბრეთ. წარმოუდგენელი იყო.

ჩვენი წლევანდელი წარმატების ფორმულა მარტივია: ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის. არა მარტო მინდორზე, არამედ მის მიღმაც.

## რუდი, პატარა იმპერატორი, სალტო-კლოზე და „ბრაზილიელები"

მე და ბალაკი — ეს ცალკე თემაა. ახლა გაგიმხელთ, რა გვქონდა გეგმაში, თუ ჩემპიონატს მოვიგებდით. მიხაელმა არ იცოდა, ისე მოვილაპარაკეთ, რომ—, თუ მოვიგებდით, თასს ბალაკი ჩაიბარებდა და არა გუნდის კაპიტანი ოლი კანი. ეს იქნებოდა ჩვენი მადლობა ამერიკასა და სამხრეთ კორეასთან გატანილი გადამწყვეტი გოლებისთვის. აგრეთვე იმ ტაქტიკური ჯარიმისთვის, რომლის გამოც კორეელებთან გუნდი კი გადაარჩინა, მაგრამ თავად მეორე გაფრთხილება მიიღო და ფინალის გამოტოვება მოუხდა. გული მიკვდებოდა, ფინალში სათადარიგოთა სკამზე რომ ვხედავდი. იგი მაშინ მინდორს უფრო მოუხდებოდა, ეს ბიჭი მაშინ მინდორს ეკუთვნოდა. სკამზე ჯდომა არ დაუმსახურებია.

მის სირბილს რომ ვუყურებ, ფრანც ბეკენბაუერი მახსენდება. უკვე შეერქვა კიდეც შესაფერისი მეტსახელი — „პატარა იმპერატორი". თანაც ისიც ფრანცივით, წარმოუდგენლად დიდი ტალანტია. გერმანია მადლობელი უნდა იყოს, რომ მიხაელ ბალაკი გვყავს. გინდათ გაგიმხილოთ მისი ასეთი თამაშის საიდუმლო? მან წინასწარვე იცის, როგორ განვითარდება ესა თუ ის სათამაშო ეპიზოდი. ამიტომაც არის მეკარეებისთვის მსოფლიოში ყველაზე საშიში ნახევარმცველი. ერთ მაგალითს გეტყვით: კორეასთან მატჩში გოლი რომ გაიტანა, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, იმ ადგილას, არ უნდა ყოფილიყო. როცა ნოივილი ბურთიანად კუთხურის ალმისკენ მირბოდა, ბალაკი მეკარის საჯარიმოსკენ წავიდა, რაც ალოგიკურია, თუმცა ნოივილმა სასწაულებრივად ჩაწოდა, ბალაკმაც ჯერ დაარტყა და მერე დაამატა. ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არ მქონია. არც ერთი მწვრთნელი არ ეტყვის შეგირდს, თანაგუნდელი რომ კუთხურის ალმისკენ მირბის, შენ მეკარის ხუთმეტრიან ზონაში შედიო. ბალაკმა კი ყველაფერი წინასწარ გათვალა. თუმცა მიხაელს სრულყოფამდე ჯერ ბევრი უკლია.

ალბათ, ისიც გაინტერესებთ, მიროსლავ კლოზეზე რა აზრის ვარ. გეტყვით. ასეთი თავდამსხმელი დიდი ხანია არ გვყოლია. ჯერ ერთი, ორივე ფეხით თამაშში ძლიერია, თანაც სწრაფია, გოლის ბრწყინვალე ალღო აქვს. თავით თამაშზე ხომ აღარაფერს ვამბობ. თუმცა, მიროს ფინალში კარგი გაკვეთილი მიიღო. მან დაინახა განსხვავება რონალდოსთან, რომელიც აშკარად სხვა კალიბრისაა. იმ მწვერვალზე, სადაც რონალდო დგას, კლოზე მხოლოდ მაშინ ავა, როცა მომენტების გამოყენებას ისწავლის და თავის სისწრაფეს დრიბლინგის დროს კარგად გამოიყენებს. კარგია, რომ კლოზე „კიზერსლაუტერნში" დარჩა. ანდრეას ბრემესთან ბევრს ისწავლის. ბალაკი, კანი, სალტო-კლოზე — თუმცა არც სხვები უნდა დაგვიწყდეს, მაგრამ ნაკრებისთვის ორ ახალ ფეხბურთელს მაინც გამოვყოფ. კრისტოფ მეცელდერის ყურებისას ბრაზილიელი მცველები მახსენდებიან. ისიც ჩინებულად თამაშობს ორივე ფეხით, სწრაფია და შეტევაშიც მწვავედ ერთვება. მისნაირი თანამედროვე მცველი გერმანიას აქამდე არ ჰყოლია. ბერნდ შნაიდერსა და მის ტექნიკას კი ერთი წინადადებით დავახასიათებ: მას ფინალში ბრაზილიის ნაკრების ფორმაც მოუხდებოდა.

## მომავალი

ამ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე, ვიცი, ჩვენგან იმაზე მეტს მოითხოვენ, ვიდრე აქამდე. თუმცა მე ტიტულს ვერავის დავპირდები. ვინც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატს მიხსენებს, ვეტყვი, რომ იქამდე ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპი გვაქვს დასაძლევი. იქ ჩვენს წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული შემართებით ითამაშებს. ამიტომ ყველას ვეტყვი, რომ ჩვენგან უნდა ელოდეთ ძნელ ბრძოლებში მოპოვებულ გამარჯვებებს ელოდეთ და არა ჯადოსნურ თამაშს. საკვალიფიკაციო ეტაპიც გვარიანად გვანერვიულებს. აგვისტოს დასაწყისში მინდა ნაკრების ყველა წევრს შეეხვდე და მომავალ გეგმებზე ვესაუბრო. მინდა ვიცოდე, ვინ აპირებს ნაკრებიდან წასვლას, რათა მერე კვლავ ისეთ სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთ, როგორშიც მაისის ბოლოს მოვხვდით შოლის გამო. ბირჰოფი რომ მიდის ვიცი, ბოდე კი, იმედია, კიდევ დაჩრება. გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებენ დაისლერი და ნოვოტნი, რომლებიც უკვე ჯანმრთელად არიან. მათზე დიდ იმედებს ვამყარებ.

ბოლოს კი მინდა ჩემზე შეთხზულ სიმღერას დავუბრუნდე. არ მომწონს, რომ მღერიან, რუდი ფიოლერი მხოლოდ ერთიაო. კი, რუდი ფიოლერი ერთია, მაგრამ მის უკან დგას ის გუნდი, რომელიც არ უნდა დაგავიწყდეთ, მედჰერსონალი, საფეხბურთო კავშირის მენეჯერები და მწვრთნელთა შტაბი. მინდა გითხრათ, რომ ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თანაშემწედ მიხაელ სკიბეს დანიშვნა იყო. ბედნიერი ვარ, რომ ერთად ვმუშაობთ. ასე რომ, „რუდი ფიოლერის" ტექსტში ბევრი ცვლილებაა შესატანი.

*გერმანია — კამერუნი 2:0. მიხაელ ბალაკი (მარცხნივ) და ლორენ ეტამაერი*

REUTERS

# ოლივერ კანი

## ყოფილი, ბაიერნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

*ამერიკელმა ლანდონ დონოვანმა (21) ოლივერ კანს ვერაფერი დააკლო*

# შრომამ შექმნა კანი

## გაუცინარი ხელმწიფე? ნურას უკაცრავად

**სოლომონ გულისაშვილი**

ოლივერ კანის ცხოვრებაზე კარგი ზღაპარი დაიწერებოდა. ასეთი რამ იშვიათად ხდება, როცა ბავშვობიდან ათვალწუნებული და ყველასათვის საძულველი ადამიანი ბოლოს დიდი კაცი და ეროვნული გმირი ხდება. დღეს იგი ყველას უყვარს, მეკარეობაში ხომ ბადალი ცოტა ჰყავს, „ბაიერნსა“ და გერმანიის ნაკრებში კი მისებრ ავტორიტეტული მოთამაშე მეორე არ მოიძებნება. ახლახან დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შეცდომა კი მოუვიდა, მაგრამ მთლიანად ტურნირი დიდებულად ჩაატარა და აკი მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ფრანც ბეკენბაუერმაც ხომ თქვა, ჩვენ კანი გვყავს და ასეთი მეკარის პატრონებს, აბა, ვისი უნდა გვეშინოდესო. „კაიზერ ფრანცი“, მოგეხსენებათ, თავის მოთამაშეებს წარამარა არ აქებს, ამიტომ მის ამ სიტყვებს სხვავარი ფასი და წონა აქვს.

საინტერესო რამ არის ცხოვრებისეული ისტორიები. სამოდ წლის წინ დედამისმა მონიკამ, რომელიც ჰოსპიტალში მედდად მუშაობს, შინ საგანგებოდ დაპატიჟა ჟურნალისტები. დაპატიჟა, რათა აეხსნა, რომ მისი უმცროსი შვილი არც ისეთი ცუდია, როგორიც ჭორნიათ. პირიქით, ძალიან გულითადი და კარგი ადამიანია. აი, ოლის ბავშვობის სურათებიც. ვთქვათ, ეს, ნაძვის ხესთან რომ დგას და სათამაშოები უჭირავს. განა შეიძლება ამან ვინმეს რამე დაუშავოს? ფრაუ მონიკამ ჟურნალისტებს ამ ფოტოების გამოქვეყნება სთხოვა — ქვეყანამ გაიგოს, რომ ოლი ტყუილად ითვალწუნესო...

და მაინც, ფაქტია, კანი თუ გაცხარდა, მოწინააღმდეგეებზე ნამდვილ ნადირობას იწყებს. ასეთ ვითარებაში ქვეყნის პირველი მეკარე თავის პირველყოფილ ინსტინქტებს ველარ ერევაო, მწარედ ხუმრობენ რეპორტიორები. რაღა არ შეარქვეს: ცოფიანი ძაღლი, ბულდოგი, გორილა, კინგ კონგი, ვამპირი და მისთანები. ერთხელ დორტმუნდელ ჰაიკო ჰერლიხს კისერზე უკბინა, მეორედ ჰერლიხის თანაგუნდელ ანდრეას მიოლერს კინაღამ ყური მოაჭამა, შვეიცარიელი სტეფან შაპუიზასკენ კი გაშლილი ფეხით ისე წავიდა, თითქოს კარის შენგრევა უნდაო...

„მეკარე ვარ და ბევრს არ ვმოძრაობ. სხვებს სირბილის დროს შეუძლიათ დაგროვილი აგრესიისგან დაცლა, მე კი ამის საშუალება არა მაქვს. ალბათ, ამიტომაც ხდება მსგავსი შემთხვევები. თუმცა ვაღიარებ, რომ ეს ცუდია და ვცდილობ, აღარ გავიმეორო“ — ამბობს კანი. ფრაუ მონიკა კი ყვება, რომ ასეთი გადარევის შემდეგ ოლი შინ უხასიათოდ, დათრგუნვილი ბრუნდება, ჩადენილ საქციელს ძალიან განიცდის და ამტკიცებს, ფეხბურთს თავი უნდა დავანებოო...

კანის ქცევა, ცხადია, ფანებსაც აღიზიანებს. შარშან ფრაიბურგში ერომა ყმაწვილმა ტრიბუნიდან გოლფის ბურთი ესროლა და თავში მოარტყა. მატჩამდე მეკარეს უთქვამს, გოლფის თამაში ძალიან მიყვარსო და პასუხიც მიიღო. ერთხელ ბანანიც ესროლეს, მაგრამ კანმა დაიჭირა, გაფცქვნა და მშვიდად შეჭამა, რითაც დამსწრე საზოგადოება ერთობ გაამხიარულა...

და კიდევ, რატომ არ უყვართ კანი? ალბათ იმიტომ, რომ ის გერმანიის ნაწილისთვის საძულველი „ბაიერნის“ მეკარეა, თანაც ბრიყვი გორი მეკარე: „მაზოხისტი არ გეგონოთ, მაგრამ სტუმრად თამაში უფრო მიყვარს, სადაც „ბაიერნის“ მოძულე ხალხი იკრიბება. ისინი ჩვენს შეცდომებს, დამარცხებას ელიან და, როცა ძნელ ბურთს იგერიებ, კიდევ უფრო გიჟდებიან. სიძულვილის მიზეზი ხომ შურია, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცოდვა. ჩვენი გამარჯვებები ყელში ეჩხირებათ და ცდილობენ, ყველანაირად დაამდაბლონ, გააუფასურონ. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ასეთი ქცევით უპირველესად თავიანთ კლუბებს ამცირებენ? ჩვენ მათ მადლობა უნდა გადავუხადოთ. ისინი რომ არა, ამდენს ნამდვილად ვერ მივაღწევდით“, — დასძენს კანი.

მაგრამ საკმარისია „ბაიერნის“ მაგიერ ეროვნული გუნდის მაისურა ჩაიცვას და მაშინვე საყოველთაო გმირი ხდება. ნაკრებში კანი 1993 წელს, ჯერ კიდევ „კარლსრუეში“ თამაშის დროს აიყვანეს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი 98-ში, ანდრეას კიოპკეს წასვლის მერეღა დაიმკვიდრა. ეს პერიოდი მის კარიერაში ალბათ ერთ-ერთი გარდამტეხი იყო, როცა ნაკრებში პირველობისთვის დორტმუნდელ იენს ლემანს საბოლოოდ აჯობა, თითქოს საკუთარი თავისაც მეტად ირწმუნა და უფრო გაძლიერდა.

...ბავშვობაში კარლსრუეში პირველი მწვრთნელი მამა როლფი იყო. პატარა ოლის ქვედა ყბა თურმე უჩვეულოდ წინ ჰქონია გამოწეული და თანატოლებს ბულდოგიც ამიტომ შეურქმევიათ. ბუნებრივი დეფექტის გამო მეტყველებაც თავისებური ჰქონდა და ხშირად მისი მხოლოდ მშობლებს ესმოდათ. ბიჭები კი აბრაზებდნენ და მუშტი-კრივიც არაერთხელ გაუმართავს, თუმცა ამით დიქციას, აბა, რას უშველიდა. ყველაფერი დაუღალავმა მეცადინეობამ გამოასწორა. საერთოდ, კანი ძალიან შრომისმოყვარე ყოფილა და ყველაფერს სწორედ ოფლისღვრითა და მოთმინებით მაღწია. რვა წლის წინათ იგი „ბაიერნში“ გადავიდა და იქ თავის კერპთან ზეპ მაიერთან მოხვდა, რომელიც დღემდე მეკარეების მწვრთნელია. სულ მალე მაიერმა მისგან დიდებული კარის დარაჯი დააყენა: „ხშირად მსმენია, სხვები შენზე ნიჭიერები არიანო, — იხსენებს კანი, — ამბობდნენ, აი, ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა, ცოტაც და ჩრდილში მოგაქცევსო. მაგრამ სად არიან ახლა ისინი და სად ვარ მე? ყოველთვის ვუპასუხებდი, დიახ, ესა და ეს ბიჭი ძალიან ნიჭიერია-მეთქი და სამჯერ მეტს ვვარჯიშობდი, ვიდრე „ის ვარსკვლავი“. საუკეთესო რომ გავმხდარიყავი, ყოველთვის სხვებზე მეტი უნდა მემუშავა. ამ ჭეშმარიტებას ჯერ კიდევ ჭაბუკობაში მივხვდი.“

ამბობენ, კანი არასოდეს იცინისო და შორიდან მართლაც ასე ჩანს. ამას ხელს მისი მკაცრი გარეგნობაც უწყობს, თუმცა თავად სხვაგვარად ფიქრობს: „მოედანზე მართლაც ცივი ვჩანვარ, მაგრამ ცხოვრებაში სხვავგვარი ვარ. ჰკითხეთ ჩვენს მასაჟისტებს, როცა ჩემთან მუშაობენ, სიცილისგან ცუდად ხდებიან-ხოლმე.“

ერთი გოგო თითხმეტ წელიწადს უყვარდა და ბოლოს, როგორც იქნა, ცოლად შეირთო.

ამ გოგოს სიმონა ჰქვია და დღეს ოლისთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს. როცა შვილი — კატარინა-მარია შეეძინათ, მამა მიხვდა, რომ თურმე ფეხბურთზე მნიშვნელოვანი რაღაცეებიც არსებობს და ახლა ცდილობს, შინ უფრო ხშირად იყოს.

„ბაიერნთან" ერთად კანმა თითქმის ყველაფერი მოიგო ჩემპიონთა ლიგისა და საკონტინენტთაშორისო თასის ჩათვლით. აი, ეროვნულ გუნდში კი... პირველი დიდი სანაკრებო ტურნირი მისთვის „ევრო 2000" იყო, რომელიც გერმანელებმა შერცხვენილებმა დატოვეს. კორეა-იაპონიაში კი გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდათ, მაგრამ რა გაეწყობოდა, ბრაზილია უფრო ძლიერი იყო: „ფინალური სასტვენის შემდეგ კანი ზურგით ძელს მიყრდნობოდა და, როგორც იტყვიან, სრულ გაუგებრობაში იყო, — წერდა გაზეთი „ბილდი",— ძალიან მწარეა, როცა ტურნირის ერთადერთი შეცდომა სწორედ ფინალში მოგივა. თამაშის ბოლოს მას ხელის ორი თითი შეხვეული ჰქონდა, — პირველ ტაიმში დაშავდა. ეგებ ამიტომაც მოუვიდა შეცდომა?"

*ძალიან მწარეა, როცა ტურნირის ერთადერთი შეცდომა სწორედ ფინალში მოგივა*

მერე კი ცოტა მოულოდნელი რამ მოხდა: მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისთვის „ადიდასის" მიერ დამზადებული ახალი „ოქროს ბურთი" სწორედ კანს გადასცეს, რონალდო კი, ვინც ფინალში ოლის კარში ორი გოლი გაიტანა, მეორეობას დასჯერდა. თუმცა კანი ხომ მთელი მუნდიალის განმავლობაში დიდებულად თამაშობდა. რონალდო ჩემპიონიც გახდა, საუკეთესო ბომბარდირიც, სეზონის ბოლოს ალბათ „ოქროს ბურთსაც" მიიღებს და რაღაც ოლისაც ხომ უნდა რგებოდა? ვითომ ასე ფიქრობდნენ გამოკითხვაში მონაწილე ჟურნალისტები? ვინ იცის...

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი გერმანიაშია და, თუ ფინალის მსაჯი კოლინა არ იქნება... ეგებ კანმა ფიფას თასიც ასწიოს. რატომ კოლინა? იმიტომ, რომ ამ ხოტორა იტალიელმა კანს ორ ფინალში უმსაჯა და ორივეში მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა. პირველად ეს 1999 წელს მოხდა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩში „მანჩესტერთან", მეორედ კი აი, ახლა ბრაზილიასთან...

მოკლედ, კოლინა კოლინად და, შემდეგი მუნდიალის დროს კანი 37 წლის იქნება. რით არ არის მეკარისთვის საჩემპიონო ასაკი?...

*ფრანკფურტში შეკრებილი გერმანელებისათვის მუნდიალიდან დაბრუნებული კანი უპირველესი გმირი იყო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვინდა ლუის ბაზრობის ბიჭები

გიორგი დარჯანია

**მოგზაურობა** უმრავლესობა, რომელსაც გულში აფრიკის მონახულება ამოუჭრია და შავ კონტინენტზე სტუმრობას დასავლეთიდან იწყებს, საწყის პუნქტად მეტწილად ქალაქ დაკარს ირჩევს — უდიდეს ნავსადგურს ატლანტის ოკეანის აფრიკულ სანაპიროზე.

სპორტის მოყვარულთათვის ათწლეულების განმავლობაში დაკარი იყო საბოლოო წერტილი განთქმული ავტორალის ტრასაზე, რომელიც იწყება პარიზიდან, გადაკვეთს ნახევარ ევროპას, ხმელთაშუა ზღვას, ჩრდილო აფრიკას, საჰარის თვალუწვდენელ უდაბნოს... როცა მრბოლელი დაიქანცება ამდენი ქვიშის ცქერით და მიადგება მდინარე სენეგალს, რომლის იქითაც თვალს ახარებს ოაზისთა სიმრავლე, მან იცის, რომ სენეგალშია და დაკარიც საცაა გამოჩნდება.

სულ ახლახან სპორტულმა სამყარომ სხვა, საფეხბურთო სენეგალი გაიცნო. თუმცა, სენეგალურ ფეხბურთზე ლაპარაკი არ შეიძლება —, თუ ზოგადად აფრიკულ ფეხბურთზე არაფერს ვიტყვით.

კარგა ხანს აფრიკული ფეხბურთი, ზღაპრებისა არ იყოს, იყო და არა იყო რა. ანუ თავისთავად კი არსებობდა, მაგრამ ევროპას ის არ აინტერესებდა. აბა, თქვით, ვინ იქნებოდა ეუსებიო, მშობლიურ მოზამბიკში რომ დარჩენილიყო და პორტუგალია მეორე სამშობლოდ არ გაეხადა?

*ცეკვა სენეგალური — აფრიკელთა ყოველ გოლს ფოლკლორის წუთი სდევს*

REUTERS

თანდათანობით ევროპა მიხვდა, რომ აფრიკა ისევე მდიდარი იყო ნიჭიერი ფეხბურთელებით, როგორც ალმასის საბადოებით. ჰოდა, ახალი ოქროს მაძიებლები, იგივე კლუბის ემისრები, აფრიკისკენ დაიძრნენ და ბევრი საინტერესოც აღმოაჩინეს. კაცმა რომ თქვას, სანთლით ძებნა არც იყო საჭირო, რაკი თვითნაკეთი ბურთით თამაში იქაური ყმაწვილების ერთადერთი გასართობი გახლდათ. მერე ღარიბ-ღატაკი აფრიკელებიც მიხვდნენ, რომ გამდიდრების ფაქტორივად ერთადერთი გზა შვილების ფეხბურთელებად ქცევა და ევროპაში სარფიანად გაყიდვა იყო. ნადი ბუმიც ამის მერე დაიწყო.

ოღონდ რას ნიშნავს სარფიანად გაყიდვა? დაგვეთანხმებით, კარგი ხელფასი პირობითი ცნებაა და საშუალო ევროპელისთვის რაოდენობრივად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე საშუალო აფრიკელისთვის ან, თუ გნებავთ, ქართველისთვის.

ჩვენს ხელფასებზე ლაპარაკით ხასიათს ნუ წავიხდენთ და ევროპელთა საოცარ გამართლებაზე ვთქვათ — კარგი ფეხბურთელი იაფად! ამას რა სჯობს.

ერთი სიტყვით, აფრიკელი ფეხბურთელები ევროპაში შეიჭრნენ, იქაურები შეავიწროვეს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ზოგადად აფრიკული ფეხბურთს პატივისცემა ევროპელებს ვერ ჩაუნერგეს.

რაღაც ბიძია თომასავით ამბავი იყო: პატრონი თომას თითქოს პატივს სცემდა, მაგრამ თავის ტოლ-სწორად ვერ აღიარებდა.

აბა, გავიხსენოთ: 1982 წელს, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, ალჟირმა დაამარცხა ფედერაციული გერმანია და ეგებ ჯგუფიდანაც გასულიყო, გერმანიას და ავსტრიას მეტისმეტად მეგობრულად რომ არ ეთამაშათ ბოლო ტურში.

ოთხი წლის მერე, მექსიკაში, ჯგუფში, რომელშიც ინგლისი, პოლონეთი და პორტუგალია იყვნენ, პირველ ადგილზე მაროკო გავიდა, მერვედფინალში კი ლოთარ მათეუსის 87-ე წუთზე გატანილი გოლის გამო დამარცხდა გერმანიასთან.

კიდევ ოთხი წელი და, კამერუნმა იტალიის ჩემპიონატის გახსნის მატჩში არგენტინა დაამარცხა, მერე კი პირველ აფრიკულ გუნდად იქცა, მუნდიალის მეოთხედფინალში რომ გააღწია, სადაც დამატებით დროში გარი ლინეკერის მიერ გატანილი პენალტით წააგო ინგლისთან.

1994 წელი ნიგერიისა იყო. ჯგუფიდან პირველი ადგილით გასული „სუპერარწი-

ვები“ მერვედფინალში კამერუნივით დამარცხდა — პენალტის გამო, რომელიც იტალიელმა რობერტო ბაჯომ გაიტანა.

ოთხი წლის წინ საფრანგეთში ძალიან სიმპათიური გუნდი ჰყავდა მაროკოს. მიუხედავად ამისა, აფრიკელთა ყოველი წარმატება სენსაციათა რანგში აჰყავდათ ანუ კანონზომიერებად არ მიიჩნევდნენ.

მაქსიმუმი, რასაც კორეა-იაპონიაში აფრიკელებისაგან ელოდნენ, კამერუნის მერვედფინალში გასვლა იყო, აქ კი გამოხტა სენეგალი და...

ცხადია, მომხდარის ახსნა გაცილებით იოლია, ვიდრე თავიდან პროგნოზის გაკეთება, მაგრამ, სენეგალსა და საფრანგეთს თუ შევადარებთ, საინტერესო მსგავსებას შევამჩნევთ. კერძოდ, საფრანგეთის ნაკრების ბირთვს აფრო-ევროპელი ფეხბურთელები შეადგენენ, რომელთა მშობლებმაც ევროპაში ემიგრაცია მოახერხეს, სენეგალელ ფეხბურთელთა მშობლებმა კი ეს ვერ შეძლეს და მათი შვილებიც სენეგალის მოქალაქეებად დარჩნენ. ამ ორ გუნდს შორის მთავარი განსხვავებაც ესაა.

...დაკარში ჩასულ მოგზაურს თვალწინ გადაეშლება. ევროპული ქალაქი, მდიდარი და კულტურული. მაგრამ ეს მოჩვენებითი სიმდიდრე და კულტურაა — დაკარის გარეუბნებიდან ქვეყნის საზღვრებამდე სხვა სენეგალია გადაჭიმული. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 42 წელი გავიდა და მოსახლეობის უმეტესობა კვლავ ღარიბი და უწიგნურია. ისე, სენეგალის პირველი პრეზიდენტი სენგუდი პოეტი გახლდათ.

ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს საპორტო ქალაქი სენ-ლუი, რომელიც მონათვაჭრობის ერთ-ერთი უდიდესი კერა იყო დასავლეთ აფრიკაში. ახლა აფრიკელები შავი კონტინენტიდან უფრო ცივილიზებული გზით მიემგზავრებიან.

### აფრიკული ქვეყნების ნაკრებთა მეტსახელები

| | | |
|---|---|---|
| ალჟირი | LES FENNECS | უდაბნოს მელიები |
| ანგოლა | PALANCAS NEGRAS | შავი ხმლის ვადები |
| ბენინი | ECUREUILS | ციყვები |
| ბოტსვანა | ZEBRAS | ზებრები |
| ბურკინა ფასო | LES ETALINS | ულაყები |
| ბურუნდი | LES HIRONDELLES | მერცხლები |
| კამერუნი | LIONS INDOMITABLES | მოუთვინიერებელი ლომები |
| ცენტრ. აფრიკა | LOW-UBANGUI FAWNS | ქვემო უბანგველი ახალგაზრდა ირმები |
| ჩადი | SAO | წმინდა |
| კონგო | DIABLES RUOGES | წითელი ეშმაკები |
| კოტ დივუარი | LESELEPHANTS | სპილოები |
| ეგვიპტე | YOUNG RED SEA | ახალგაზრდა წითელი ზღვა |
| კონგოს დ.რ. | SIMBA | სიმბა |
| ეგვიპტე | PHARAOHS | ფარაონები |
| ერითრია | RED SEA BOYS | წითელი ზღვის ბიჭები |
| გაბონი | AZINGO NATIONALE | აძინგოს ნაკრები |
| გამბია | SCORPIONS | მორიელი |
| განა | BLACK STARS | შავი ვარსკვლავები |
| კენია | HARAMBEE STARS | ჰარამბეს ვარსკვლავები |
| ლესოთო | LIKUENA | ნიანგები |
| ლიბერია | LONE STAR | ეული ვარსკვლავი |
| ლიბია | THE GREENS | მწვანეები |
| მადაგასკარი | SCORPIONS | მორიელები |
| მალავი | FLAMES | ალები |
| მალი | LES AIGLES | არწივები |
| მავრიტანია | MOURABITOUNES | მავრაბიტუნეს |
| მავრიკი | CLUB M | M კლუბი |
| მაროკო | LIONS DE ATLAS | ატლასის ლომები |
| მოზამბიკი | MAMBAS | გველები |
| ნამიბია | BRAVE WARRIORS | მამაცი მეომრები |
| ნიგერი | MENA | გამოგრძმედილნი |
| ნიგერია | SUPER EAGLES | სუპერარწივები |
| სენეგალი | LIONS OF TERANGA | ტერანგას ლომები |
| სიერა ლეონე | LEONE STRS | ლეონეს ვარსკვლავები |
| სომალი | OCEAN STARS | ოკეანის ვარსკვლავები |
| სამხრეთ აფრიკა | BAFANABAFANA | ბიჭები |
| სუდანი | NILE CROCODILES | ნილოსის ნიანგები |
| ტანზანია | KILIMANJARO STARS | კილიმანჯაროს ვარსკვლავები |
| ტოგო | LES EPERVIERS | მიმინოები |
| ტუნისი | ONZE NATIONAL | ეროვნული თერთმეტი |
| უგანდა | GRANES | წეროები |
| ზამბია | CHIPOLOPOLO | ტყვიები |
| ზიმბაბვე | WARRIORS | მეომრები |

*სენეგალის ნაკრები. დგანან: პაპე ტიავუ, პაპე მალიკ დიოპი, პაპე ბუბა დიოპი, ფერდინანდ კოლი, ლამინა დიატა, ტონი სილვა*
*სხდან: ელ ჰაჯი დიუფი, ამდი ფეიე, ანრი კამარა, უმარ დაფი, ალიუ სისე*

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

# ყოველი მეექვსე

ირაკლი გამყრელიძე




REUTERS

**რა არის** მსოფლიოს ჩემპიონატი? ყველაფერთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი გახლავთ ფესტივალი, რომელშიც ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობს.

ფეხბურთი თამაში და სანახაობაა. ამიტომ მას მაყურებელი, ასეულ მილიონობით მოყვარული და ერთგული კაცი სჭირდება. სჭირდება კი არა, ჰყავს.

მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთელთა ჭიდილთან ერთად გულშემატკივართა შეჯიბრებაც არის. მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრიბუნებიც ისევე ლამაზია, როგორც მინდორი. გულშემატკივართა სახალხო თეატრი მთელი ძალით და ხალისით მოქმედებს, ცეკვავს, მღერის და თამაშობს.

დგება ხოლმე მომენტები, როცა გულშემატკივართა მრავალათასიანი ლაშქარი მსოფლიოს ჩემპიონატის ბატონ-პატრონი ხდება. ხუმრობა ხომ არ არის? ერთ რომელიმე ქვეყანაში ჩასულა ოცდათერთმეტი ეროვნების ათიათასობით კაცი და მასპინძლების მხარდამხარ ცდილობს თავისი გუნდის მხარდაჭერას. გამოსდის კიდეც, ოღონდ კანონის დამცველთათვის დიდ შეჯიბრებებზე გულშემატკივართა გამოჩენა ყოველთვის შარია.

ხომ გახსოვთ, როგორ ემზადებოდნენ იაპონელი და კორეელი პოლიციელები მსო-

ფლიოს ჩემპიონატზე უსაფრთხოების დასაცავად? ისე ემზადებოდნენ, თითქოს ტორა-ბორას გამოქვაბულში უნდა შევიდნენ მოლა უმარის დასატუსაღებლადო.

არადა, კი მსოფლიოს ჩემპიონატმა ძალიან წყნარად ჩაიარა. გულშემატკივრებმა სულ სიცილ-სიცილში გალიეს ერთი თვე. თვით ინგლისელებიც კი, რომლებმაც ორი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე ლამის მთელი ბელგია დაარბიეს, ამჯერად გამორჩეულად წყნარად იქცეოდნენ. მიზეზი ერთი იყო, აზიაში დიდი ხულიგნები არ შეუშვეს. სამაგიეროდ, იქ მრავლად იყვნენ ლამაზი ბრაზილიელი გოგოები და საერთოდაც, კარგი ადამიანები.

მსოფლიოს ჩემპიონატი ერთადერთი მოვლენაა დედამიწის ზურგზე, რომლის დროსაც მთელ მსოფლიოს დაინახავ, მთელი სამყაროს ფერებს შეიგრძნობ და მთელი დედამიწის ხმებს მოისმენ.

აქეთ აფრიკელები თავიანთი დოლებით, იქით კორეულად გადაწითლებული სტადიონი, იქაც თამაშის ცახცახ-ცეკვით მომზირალი ბრაზილიელები, ანდა, სამხრეთისათვის მეტად სადა ფერებით გაწყობილი მოგუგუნე არგენტინული ტრიბუნა, ერთი მუჭა ირლანდია, მთელი წლის განმავლობაში ნაგროვები ფულით რომ ჩამაღწია აზიაში, უკვდავი მანოლო თავისი ესპანური ბერეტით და უცვეთი დოლით, აღშფოთებული იტალიელები, მამლებით ხელდამშვენებული ფრანგები... ტკივილი, სიხარული, სიმღერა და გლოვა, მუსიკა და გუგუნი: ყოველივე ამას სტადიონი იტევს.

თუ განგებ არ გამოიგონე, საჩხუბარი არა-

REUTERS

REUTERS

ფერი გაქვს. რატომ უნდა დალეწო ყველაფერი, როცა იმას უყურებ, რაც გიყვარს?

აზიაში ჩემპიონატმა წყნარად ჩაიარა. საერთოდ, მსოფლიოს ჩემპიონატი უფრო ხმაურიანი და დამანგრეველი ევროპაში გამოდის ხოლმე. ნაცნობი კანონები, ნაცნობი ვითარება, სახლთან სიახლოვე, თავისუფალი მიმოსვლა და ხულიგნებსაც მეტი რა უნდათ — სტადიონებზე აღარც შედიან, პირდაპირ ქალაქში იწყებენ ომს. იაპონიასა და კორეაში კი ყველაფერი წყნარად იყო, რადგან იქ ვერავინ ჩააღწია ისეთმა, გალეშილი რომ წაიწევდა სამტვრევ რამეებზე.

ფეხბურთის გულშემატკივრობა მთელი ცხოვრების საქმეა. ერთხელ თუ შეგეყარა ამ თამაშის ნამდვილი სიყვარული, ვეღარასოდეს დააღწევ თავს. წლეულს ამ დიდი შეჯიბრების მიმდინარეობისას მსოფლიოს სულ სხვადასხვა კუთხეში ფეხბურთის ადამიანები შეეწირნენ. ვიღაც სახურავზე აძვრა ანტენის გასასწორებლად და დენმა დაარტყა, ვიღაცამ საყვარელი ფეხბურთელის მსგავსად შეიჭრა თმა და, მამამ რომ ასე სიარული აუკრძალა, თავი მოიკლა, ვიღაცას რადიორეპორტაჟის სმენისას მოუხდა მძიმე ავარია. ეს ტრაგედიები არცთუ პირველხარისხოვან საფეხბურთო ქვეყნებში მოწდა. უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები თავიანთი გუნდის გულშემატკივრობას კი არ შეეწირნენ, უბრალოდ, ფეხბურთს, საყვარელ თამაშს გადაჰყვნენ.

ქვეყნებში კი, სადაც საფეხბურთო ცხოვრება ძალიან სუსტია, ფეხბურთი მილიონობით ადამიანს უყვარს. ვთქვათ, მალაიზიაში, ანდა... რაღა შორს წავიდეთ? ფეხბურთი ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღესო, ხომ ნათქვამია.

უგულშემატკივროდ კი ფეხბურთი არ არსებობს. მსოფლიოს ჩემპიონატიც ამაში გვარწმუნებს. ფეხბურთი ხალხისთვისაა, ფეხბურთი განცდებისთვისაა, განცდები კი, როცა ნამდვილი სიყვარულიდან მომდინარეობს, ნამდვილიცაა და ალალიც.

MEXICO




中国必胜

ECUADOR
ECUADOR

CHINA


our dream come true!

# თერთმეტმეტრიანი სტატისტიკა

გიორგი დარჯანია

*იმაზე ბჭობას, რამდენად სამართლიანია მატჩის შემდგომი პენალტების სერიით გამარჯვებულის გამოვლენა, აქ არ შევუდგებით. ისე, ფრედ დამთავრებულ საპლეიოფო შეხვედრებში უმჯობესი გუნდი ბევრად უსამართლო თუ უცნაური ხერხითაც გამოვლენილა. მაგალითად, 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრები იმის წყალობით მოხვდა, რომ „არიოლ-რეშეთ" დაამარცხა ესპანეთი. ერთხანს აფრიკაში ასეთი წესი იყო: გამარჯვება იმას რჩებოდა, ვინც მეორე ტაიმში მეტ ბურთს გაიტანდა.*

*ყველაზე სამართლიანი, ალბათ, გადათამაშებაა, რისი დანიშვნაც თანამედროვე გადატვირთული კალენდრისა და სატელევიზიო-ფინანსური მიზეზების გამო, ძნელია.*

*დავუბრუნდეთ პენალტების სერიას. დღესდღეობით ბოლო სერია მუნდიალზე კორეა-ესპანეთის მატჩის დროს შესრულდა. სულ კი უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში, როგორიცაა მსოფლიოსა და კონტინენტების ჩემპიონატები, პენალტებამდე საქმე დღემდე 68-ჯერ მივიდა. ამ გვარიანად სანერვიულო პროცედურის გადატანა 49 ქვეყნის ფეხბურთელებს მოუხდათ.*

*ქვემოთ გთავაზობთ აღნიშნულ ტურნირებზე პენალტების სერიით დასრულებული მატჩების ჩამონათვალს. იმასაც შენიშნავთ, რომ კონკაკაფის ოქროს თასის წლევანდელ გათამაშებაში (ჩრდილოეთ ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატი) სამხრეთ კორეის ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა. სხვა კონტინენტების გუნდების მიწვევა კონკაკაფელთა ტრადიციაა.*

*ბოლოს კი შედეგთა შეჯამებას შევეცადეთ და საუკეთესო მეპენალტე ქვეყნად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა მივიღეთ, ხოლო უარესად – გაბონი. დემოკრატ კონგოელებს მოგებული სერიებისა და გატანილი გოლების ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვთ, ისევე, როგორც ბელგიას, კანადას და ჩეხეთს (ჩეხოსლოვაკია). სამაგიეროდ, მოგერიებული ბურთებით ყველას უსწრებენ.*

*ქვეყნების რიგითობის განსაზღვრა სხვა გზითაც შეიძლებოდა. მაგალითად, იმავე კონგოს თუ მხოლოდ ერთი პენალტების სერია აქვს შესრულებული და მოგებული, საუდელებმა ოთხიდან ოთხი სერია მოიგეს და, ალბათ, საუკეთესოობის პრეტენზიაც ექნებათ. ამ პრინციპით თუ მივუდგებით, ბოლო ადგილზე ოთხი სერიის წამგები ჰოლანდია უნდა იყოს.*

*მოკლედ, ჩვენ ერთი პრინციპით დალაგებულ ცხრილს გთავაზობთ და, თუ გნებავთ, თქვენი გემოვნებით, რაიმე სხვა პრინციპით გადაალაგეთ.*

| | სერია | მოგო | წაგო | შედეგიანობა | გატანა/დარტყმა | შედეგიანობა | გაშეგა/დარტყმა | შედეგიანობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კონგოს დრ | 1 | 1 | 0 | 100% | 4/4 | 100% | 1/3 | 33% |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 100% | 5/5 | 100% | 4/5 | 80% |
| კანადა | 1 | 1 | 0 | 100% | 6/6 | 100% | 5/6 | 83% |
| ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 100% | 20/20 | 100% | 16/19 | 84% |
| საუდეთი | 4 | 4 | 0 | 100% | 17/20 | 85% | 12/19 | 63% |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 100% | 5/6 | 83% | 4/6 | 67% |
| ს. აფრიკა | 1 | 1 | 0 | 100% | 4/5 | 80% | 3/5 | 60% |
| ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 100% | 3/4 | 75% | 1/4 | 25% |
| არგენტინა | 6 | 5 | 1 | 83% | 25/30 | 83% | 22/32 | 69% |
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 80% | 22/24 | 92% | 19/26 | 73% |
| ნიგერია | 4 | 3 | 1 | 75% | 24/29 | 83% | 21/28 | 75% |
| კოლუმბია | 4 | 3 | 1 | 75% | 17/21 | 81% | 14/20 | 70% |
| ს. კორეა | 4 | 5 | 1 | 75% | 14/18 | 78% | 11/20 | 55% |
| აშშ | 3 | 2 | 1 | 67% | 9/14 | 64% | 6/13 | 46% |
| ურუგვაი | 5 | 3 | 2 | 60% | 22/24 | 95% | 19/22 | 86% |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 60% | 22/27 | 81% | 21/27 | 78% |
| კამერუნი | 5 | 3 | 2 | 60% | 17/22 | 77% | 17/24 | 71% |
| დანია | 2 | 1 | 1 | 50% | 9/10 | 90% | 9/10 | 90% |
| განა | 2 | 1 | 1 | 50% | 17/20 | 85% | 17/20 | 85% |
| ალჟირი | 4 | 2 | 2 | 50% | 20/24 | 83% | 19/23 | 83% |
| ეგვიპტე | 4 | 2 | 2 | 50% | 19/23 | 83% | 20/24 | 83% |
| ჰონდურასი | 2 | 1 | 1 | 50% | 8/10 | 80% | 8/10 | 80% |
| კოტ დივუარი | 4 | 2 | 2 | 50% | 20/25 | 80% | 20/24 | 83% |
| ბრაზილია | 6 | 3 | 3 | 50% | 21/28 | 79% | 21/29 | 72% |
| ბურკინა ფასო | 2 | 1 | 1 | 50% | 9/12 | 75% | 11/13 | 85% |
| ქუვეითი | 2 | 1 | 1 | 50% | 7/10 | 70% | 6/9 | 67% |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 50% | 7/10 | 70% | 7/10 | 70% |
| ტაილანდი | 2 | 1 | 1 | 50% | 6/10 | 60% | 5/9 | 55% |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 50% | 4/9 | 44% | 6/8 | 75% |
| ესპანეთი | 5 | 2 | 3 | 40% | 18/24 | 75% | 20/24 | 83% |
| ირანი | 5 | 2 | 3 | 40% | 16/23 | 69% | 16/22 | 73% |
| მექსიკა | 6 | 2 | 4 | 33% | 13/24 | 54% | 21/26 | 77% |
| ტუნისი | 3 | 1 | 2 | 33% | 14/18 | 78% | 13/17 | 76% |
| ინგლისი | 4 | 1 | 3 | 25% | 15/20 | 75% | 16/19 | 84% |
| იტალია | 5 | 1 | 4 | 20% | 19/28 | 68% | 21/26 | 81% |
| მარტინიკა | 1 | 0 | 1 | 0% | 5/6 | 83% | 6/6 | 100% |
| პარაგვაი | 2 | 0 | 2 | 0% | 7/9 | 78% | 10/10 | 100% |
| ლიბია | 1 | 0 | 1 | 0% | 6/8 | 75% | 7/8 | 87% |
| ჩილე | 1 | 0 | 1 | 0% | 3/4 | 75% | 5/5 | 100% |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0% | 8/11 | 72% | 10/11 | 91% |
| ჰოლანდია | 4 | 0 | 4 | 0% | 11/18 | 61% | 17/18 | 94% |
| მაროკო | 1 | 0 | 1 | 0% | 3/5 | 60% | 4/5 | 80% |
| კამბოჯა | 1 | 0 | 1 | 0% | 3/5 | 60% | 5/5 | 100% |
| საამიროები | 2 | 0 | 2 | 0% | 5/9 | 55% | 8/10 | 80% |
| ეკვადორი | 1 | 0 | 1 | 0% | 3/6 | 50% | 4/6 | 67% |
| პერუ | 1 | 0 | 1 | 0% | 2/4 | 50% | 4/4 | 100% |
| სენეგალი | 1 | 0 | 1 | 0% | 2/5 | 40% | 3/5 | 60% |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 1 | 0% | 2/5 | 40% | 3/5 | 60% |
| გაბონი | 1 | 0 | 1 | 0% | 1/3 | 33% | 4/4 | 100% |

## მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | |
|---|---|---|
| 1982 | გფრ 3:3 (5:4 პენ.) საფრანგეთი | 1/2 ფინალი |
| 1986 | გფრ 0:0 (4:1 პენ.) მექსიკა | 1/4 ფინალი |
| 1986 | საფრანგეთი 1:1 (4:3 პენ.) ბრაზილია | 1/4 ფინალი |
| 1986 | ბელგია 1:1 (5:4 პენ.) ესპანეთი | 1/4 ფინალი |
| 1990 | ირლანდია 0:0 (5:4 პენ.) რუმინეთი | 1/8 ფინალი |
| 1990 | არგენტინა 0:0 (3:2 პენ.) იუგოსლავია | 1/4 ფინალი |
| 1990 | არგენტინა 1:1 (4:3 პენ.) იტალია | 1/2 ფინალი |
| 1990 | გფრ 1:1 (4:3 პენ.) ინგლისი | 1/2 ფინალი |
| 1990 | ბულგარეთი 1:1 (3:1 პენ.) მექსიკა | 1/8 ფინალი |
| 1994 | შვედეთი 2:2 (5:4 პენ.) რუმინეთი | 1/4 ფინალი |
| 1994 | ბრაზილია 0:0 (3:2 პენ.) იტალია | ფინალი |
| 1998 | არგენტინა 2:2 (4:3 პენ.) ინგლისი | 1/8 ფინალი |
| 1998 | საფრანგეთი 0:0 (4:3 პენ.) იტალია | 1/4 ფინალი |
| 1998 | ბრაზილია 1:1 (4:2 პენ.) ჰოლანდია | 1/2 ფინალი |
| 2002 | ესპანეთი 1:1 (3:2 პენ.) ირლანდია | 1/8 ფინალი |
| 2002 | ს. კორეა 0:0 (5:4 პენ.) ესპანეთი | 1/ 4 ფინალი |

## ევროპის ჩემპიონატი

| | | |
|---|---|---|
| 1976 | ჩეხოსლოვაკია 2:2 (5:3 პენ.) გფრ | ფინალი |
| 1980 | ჩეხოსლოვაკია 1:1 (9:8 პენ.) იტალია | მე-3 ადგილისთვის |
| 1984 | ესპანეთი 1:1 (5:4 პენ.) დანია | 1/2 ფინალი |
| 1992 | დანია 2:2 (5:4 პენ.) ჰოლანდია | 1/2 ფინალი |
| 1996 | საფრანგეთი 0:0 (5:4 პენ.) ჰოლანდია | 1/4 ფინალი |
| 1996 | ინგლისი 0:0 (4:2 პენ.) ესპანეთი | 1/4 ფინალი |
| 1996 | ჩეხეთი 0:0 (6:5 პენ.) საფრანგეთი | 1/2 ფინალი |
| 1996 | გერმანია 1:1 (6:5 პენ.) ინგლისი | 1/2 ფინალი |
| 2000 | იტალია 0:0 (3:1 პენ.) ჰოლანდია | 1/2 ფინალი |

## კოპა ამერიკა

| | | |
|---|---|---|
| 1993 | კოლუმბია 1:1 (5:3 პენ.) ურუგვაი | 1/4 ფინალი |
| 1993 | არგენტინა 1:1 (6:5 პენ.) ბრაზილია | 1/4 ფინალი |
| 1993 | არგენტინა 0:0 (6:5 პენ.) კოლუმბია | 1/2 ფინალი |
| 1995 | კოლუმბია 1:1 (5:4 პენ.) პარაგვაი | 1/4 ფინალი |
| 1995 | ბრაზილია 2:2 (4:2 პენ.) არგენტინა | 1/4 ფინალი |
| 1995 | აშშ 0:0 (4:1 პენ.) მექსიკა | 1/4 ფინალი |
| 1995 | ურუგვაი 0:0 (5:3 პენ.) ბრაზილია | ფინალი |
| 1997 | მექსიკა 1:1 (4:3 პენ.) ეკვადორი | 1/4 ფინალი |
| 1999 | მექსიკა 3:3 (4:2 პენ.) პერუ | 1/4 ფინალი |
| 1999 | ურუგვაი 1:1 (5:3 პენ.) პარაგვაი | 1/4 ფინალი |
| 1999 | ურუგვაი 1:1 (5:3 პენ.) ჩილე | 1/2 ფინალი |
| 2001 | ჰონდურასი 2:2 (5:4 პენ.) ურუგვაი | მე-3 ადგილისთვის |

## აფრიკის ერუვნებათა თასი

| | | |
|---|---|---|
| 1980 | ალჟირი 2:2 (4:2 პენ.) ეგვიპტე | 1/2 ფინალი |
| 1982 | განა 1:1 (7:6 პენ.) ლიბია | ფინალი |
| 1984 | ნიგერია 2:2 (8:7 პენ.) ეგვიპტე | 1/2 ფინალი |
| 1984 | კამერუნი 0:0 (5:4 პენ.) ალჟირი | 1/2 ფინალი |
| 1986 | ეგვიპტე 0:0 (5:4 პენ.) კამერუნი | ფინალი |
| 1988 | ნიგერია 1:1 (9:8 პენ.) ალჟირი | 1/2 ფინალი |
| 1988 | ალჟირი 1:1 (4:3 პენ.) მაროკო | მე-3 ადგილისთვის |
| 1992 | კოტ დივუარი 0:0 (3:1 პენ.) კამერუნი | 1/2 ფინალი |
| 1992 | კოტ დივუარი 0:0 (11:10 პენ.) განა | ფინალი |
| 1994 | ნიგერია 2:2 (4:2 პენ.) კოტ დივუარი | 1/2 ფინალი |
| 1996 | ტუნისი 1:1 (4:1 პენ.) გაბონი | 1/4 ფინალი |
| 1998 | ეგვიპტე 0:0 (5:4 პენ.) კოტ დივუარი | 1/4 ფინალი |
| 1998 | ბურკინა ფასო 1:1 (8:7 პენ.) ტუნისი | 1/4 ფინალი |
| 1998 | კონგოს დრ 4:4 (4:1 პენ.) ბურკინა ფასო | მე-3 ადგილისთვის |
| 2000 | ს. აფრიკა 2:2 (4:3 პენ.) ტუნისი | მე-3 ადგილისთვის |
| 2000 | კამერუნი 2:2 (4:3 პენ.) ნიგერია | ფინალი |
| 2002 | კამერუნი 0:0 (3:2 პენ.) სენეგალი | ფინალი |

## კონკაკაფის ოქროს თასი

| | | |
|---|---|---|
| 1991 | აშშ 0:0 (4:3 პენ.) ჰონდურასი | ფინალი |
| 2000 | კოლუმბრია 2:2 (2:1 პენ.) აშშ | 1/4 ფინალი |
| 2002 | კანადა 1:1 (6:5 პენ.) მარტინიკა | 1/4 ფინალი |
| 2002 | ს. კორეა 0:0 (4:2 პენ.) მექსიკა | 1/4 ფინალი |

## აზიის ჩემპიონატი

| | | |
|---|---|---|
| 1972 | ს. კორეა 1:1 (2:1 პენ.) ტაილანდი | 1/2 ფინალი |
| 1972 | ტაილანდი 2:2 (5:3 პენ.) კამბოჯა | მე-3 ადგილისთვის |
| 1984 | საუდეთი 1:1 (5:4 პენ.) ირანი | 1/2 ფინალი |
| 1984 | ქუვეითი 1:1 (5:3 პენ.) ირანი | მე-3 ადგილისთვის |
| 1988 | ირანი 0:0 (3:0 პენ.) ჩინეთი | მე-3 ადგილისთვის |
| 1988 | საუდეთი 0:0 (4:3 პენ.) ს. კორეა | ფინალი |
| 1992 | ჩინეთი 1:1 (4:3 პენ.) საამიროები | მე-3 ადგილისთვის |
| 1996 | საუდეთი 0:0 (4:3 პენ.) ირანი | 1/2 ფინალი |
| 1996 | ირანი 1:1 (3:2 პენ.) ქუვეითი | მე-3 ადგილისთვის |
| 1996 | საუდეთი 0:0 (4:2 პენ.) საამიროები | ფინალი |

ოკეანეთის თასის გათამაშებაში პენალტების სერია არასდროს დანიშნულა

# Santa Barbara

## ცოლნი წავლენ და წამოვლენ

*...ბარბარა არის და დარჩება კიდევაც ბორის ბეკერის ცხოვრების მთავარ ქალად. ეს ასეა, რადგან ივი არის ბორისის შვილების დედა...*

**ვაჟა ხუციშვილი**

**იყო** მიუნხენი, იყო დილა, 151-ე დღე

იმ დილით 28 წლის კოხტა გოგო პატრის ფარამე ბორის ბეკერის მიუნხენური ვილიდან გავიდა. ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი გასვლა სახლიდან. პატრისი და ბორისი გაიყარნენ, მანამდე კი...

ბორის და ბარბარა ბეკერებმა ცხრა წელიწადი სიამტკბილობაში გაატარეს. ბარბარამ მეუღლეს ორი ვაჟი აჩუქა. უფროსი ნოა რვა წლისაა, უმცროსი, ელიასი — ორის.

თვრამეტი თვის წინ ორთა კავშირში (ბორისი-ბარბარა) ბზარი გაჩნდა. ჩოგანმცემელმა ოჯახზე გული აიცრუა. არც ბარბარას გამოუდევს თავი მაინცდამაინც — ჩვენი ერთად ყოფნა თუ არ გამოდის, დავცილდეთო. დაცილდნენ. ბორისს მკითხაობა არ დაუწყია, ერთი ხანობა ეულად დაეხეტებოდა.

ამ ხუთიოდე თვის წინ ჩოგბურთელში ახალმა სიყვარულმა ვულკანივით იფეთქა და ჩანჩქერივით გადმოხეთქა. ბორისს მარტო ხეტიალი მოსწყინდა. 34 წლის ჩოგბურთელი 28 წლის პატრისმა მოხიბლა, — შენ გულის კარი დალუქული არ გექნებაო. რომც მქონდეს, შენთვის გავხსნიო, — უთქვამს ბეკერს პატრისისთვის. ასე გადაიხლარ-თა მიჯნურთა გულები.

დრო მიიზლაზნებოდა, სიყვარული იქსოვებოდა. ქალს ოფიციალური ქორწინება უნდოდა. კაცი თავს იკავებდა, — სად გვეჩქარებაო. ქალმა ითმინა ერთი თვე—, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ბორის ბეკერისთვის ყველაფერი სულ ერთი (თუ სულ ხუთი) იყო. ჰოდა, პატრის ფარამემ მიჯნურის სახლის კარები გარედან, გულისა კი შიგნიდან დახურა. ეს მათი სიყვარულის დღიურის 151-ე ფურცელზე მოხდა.

პატრისის სურნელი მიუნხენურ ვილას კარგად არც გასცილებოდა, რომ

*ბორისს და პატრისს არ უჩხუბიათ, ადგნენ და დაშორდნენ — ხდება ხოლმე...*

BILD

*მონაკოელ ბენედიქტინ კურტენთან ერთად ბორისი 1986-88 წლებში დადიოდა*

BILD

*კარენ შულცი მისი პირველი დიდი სიყვარული იყო. ამ ჰამბურგელ სექსმოდელს ივი 1988-91 წლებში ჰყვარობდა*



BILD



ანჟელა ერმაკოვამ ბეკერს 1999 წელს ერთი ლონდონური ოტელის საშხაპეში აამა. ამ წუთიერი გართობის შედეგი პატარა ანა გახდა, რომელიც მამას გაჭრილი ვაშლივით ჰგავს

ეშხიანი საბრინა სეტლური ბორისის გვერდით ბარბარასთან დაშორების შემდეგ გამოჩნდა. მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა



ზო ეპლიარდმა მისი კოლექცია 2001 წლის მარტიდან შეავსო. ქერა ლონდონელი მაკლერი ბორისის შავ-ეგზოტიკურ გემოვნებაში ამკარად არ თავსდებოდა

ბორისის სახლს ბარბარა მიადგა თავისი ორი ვაჟით. პირველცოლმა ღამე პირველქმრის ბინაში გაატარა.

დილით მეუღლემ ვაჟებითურთ მეუღლესთან ერთად ისაუზმა. სუფრას ბორისის დედა ელეირაც ამშვენებდა. დაახლოებით ერთ საათში ბარბარამ სახლი დატოვა.

რა ხდება ბორის ბეკერის თავს? როგორც თვითონ თქვა, მოსწყინდა პატრისის გაუთავებელი წუწუნი. დავქორწინდეთ, დავქორწინდეთო,— ჩასძახოდა თურმე დღე და ღამ. კაცს კი არ სურდა, კაცია და მეჩოგნე-გუნება.

ამას წინათ სადღაც წამოსცდენია, ბარბარა კვლავაც ძველებურად მიყვარსო. ალბათ, პატრისმაც გაიგო ეს და ამიტომაც შეუჩნდა.

ბორის ბეკერის მეგობარმა „ბილდთან" ინტერვიუში ბრძანა: „ბარბარა არის და დარჩება კიდევაც მისი ცხოვრების მთავარ ქალად. ეს ასეა, რადგან იგი ბორისის შვილების დედაა. მას ვერავინ შეცვლის. ახლა ყველანი იმაზე ვფიქრობთ, შერიგდებიან თუ არა."

თვითონ ბარბარას შესაძლო შერიგებაზე ასეთი პასუხი აქვს: „ჩვენი კვლავ ერთად ყოფნა ძალიან ძნელი წარმოსადგენია. მართალია, ჯერ სხვა მამაკაცი არ მიყვარს, მაგრამ, თუ ვინმე გამოჩნდება, განსაკუთრებული უნდა იყოს, შეეძლოს ჩემი გამხიარულება, გართობა და თავის თავზე წარმოდგენა სხვების ნაჭორავებით არ უნდა შეიქმნას."

პატრის ფარამეს ახსნა-განმარტება: „რატომ დავცილდით? აბა, როგორ გითხრათ. ცხოვრებაში ხდება ისეთი რამეები, რაც ძნელი ასახსნელია. ცუდი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, დავცილდით. ეს ჩვეულებრივი ამბავია."

ბორის ბეკერს უთქვამს, იმედი მაქვს, მე და პატრისი, მიუხედავად ყველაფრისა, ისევ მეგობრებად დავრჩებითო.

კაცი ერთგვარად გაორდა — ისიც უყვარს, ამასაც ვერ ელევა, მოკლედ, აირია. პატრისთან კონფლიქტის მიზეზებზე ჩოგბურთელს ბევრი არაფერი დასცდენია. ჟურნალისტს უთხრა, ბევრს თუ გაიგებ, გაწყენსო.

მოკლედ, ქალები მიდი-მოდიან, ბორის ბეკერისთვის კი მთავარი შვილებია. ბავშვებს მამა უზომოდ უყვართ. ის მათი იდეალია, ყველაფერია. მამა და შვილები ერთად დაიარებიან სპორტულ შეჯიბრებებზე. პატარა, ნოა, განსაკუთრებით ფხიანი ჩანს, უფროსი კი მორიდებული და წყნარია. ბორის ბეკერს უმცროსისა განსაკუთრებით ეიმედება. ცოლნი წავლენ და წამოვლენ, შვილები დარჩებიანო.

„პლეიბოის" მოდელმა ჰაიდი ნუნიეს გოშესმა ბორისის ყურადღებაჰ მიუნხენში გამართულ დისკო-კონცერტზე მიიპყრო. ეს ზო ეპლიარდთან ნარომანევს მოხდა

მსახიობ კაროლინა ვერა-სკელას ბეკერმა თვალი მაშინ დაადგა, როცა ჰაიდისთან ყველაფერი მოემთავრებინა, ხოლო პატრისი ჯერ არ გამოჩენილიყო

# უილიამსების შოუ

REUTERS

*ვინუს და სერენა უილიამსები*

**ლევან კელაურაძე**

**წლევანდელმა** უიმბლდონმა პროგნოზები გაამართლა: გამარჯვება იმ მეჩოგნეებს ერგოთ, რომელთაც უწინასწარმეტყველებდნენ კიდეც. მხოლოდ ეგ იყო, თუკი კაცთა შორის ერთადერთ გამოკვეთილ ფავორიტს ასახელებდნენ და სპეციალისტთა აზრით პირველობა უთუოდ 21 წლის ავსტრალიელს, მსოფლიოს მთავარმეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტს უნდა რგებოდა, ქალებს გაჩემპიონების თითქმის თანაბარი შანსები ჩოგბურთზე მწერალთა თანახმად, მსოფლიოში პირველ-მეორეთ, ვინუს და სერენა უილიამსებს ჰქონდათ.

ერომანეთს შორის უმჯობესი შავდა უილიამსებმა, აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობისა და წლევანდელი როლან გაროსის დარად, ისევ ფინალში გაარკვიეს. ამ დროისთვის სერენას ქალთა რეიტინგსიის პირველი საფეხურიდან ვინუსის ჩამოცურება უკვე მოესწრო და წინასაფინალოდ ერთგვარ მორალურ უპირატესობასაც ფლობდა. მათმა გადამწყვეტმა შეხლამ ცხადყო, რომ უფროს დას ამ ეტაპზე იგი არა მარტო ამ კომპონენტით აღემატება — 7:6 (7:4), 6:3.

1999 წლის აშშ-ის ღია პირველობისა და წლევანდელი როლან გაროსის შემდეგ ეს სერენას მიერ მოგებული მესამე სლემტურნირი გახლდათ. 2000-01 წლების უიმბლდონის ჩემპიონმა ვინუსმა კი ჩოგნიდან გაუშვა შესაძლებლობა, შტეფი გრაფის შემდეგ (1991-93) გამხდარიყო პირველი ქალი, ვინც სეფესაბალახსაფრო სარბიელი ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში აიკლო.

ლილიან და მოდ უოტსონთა 1884 წლის უიმბლდონური ფინალიდან მოყოლებული, ვინუს და სერენა უილიამსებამდე არც ერთი დიდი სლემტურნირის — მათ შორის, არც უიმბლდონის — ფინალში დედმამიშვილებს არ უთამაშიათ.

ჯერ კიდევ როდის იქადნიდა შავდათა გონიერი მამა რიჩარდი, რომ უიმბლდონს „უილიამსთა შოუდ“ გადაქცევა ელოდა...

გადაიქცევა თუ არა უიმბლდონური საკორტეთი ლეიტონ ჰიუიტის მრავალწლიანი ზეობის ალაგად, ამაზე საქმის მცოდნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მრავალნი თვლიან, რომ ბალახი მაინც უფრო ბრგე და ბადესთან მიმძალებელ მეჩოგნეთა საფარია და არა ჰიუიტისდარ უკანახაზელთა სალაღობო ასპარეზი. მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი ჩოგბურთის მომხრე

REUTERS

*ლეიტონ ჰიუიტი*

აზრით, ავსტრალიელის წლევანდელი გამარჯვება ანომალია უფროა, ვიდრე კანონზომიერება ანდა ახალი ეპოქის დასაწყისი. უკანა ხაზიდან უიმბლდონის დამორჩილება ძალზე ძნელი საქმეაო, ამბობენ ისინი, და თუკი ჰიუიტმა ეს წლეულს მაინც მოახერხა, არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ მრავალმა მოულოდნელობამ მას უფრო მძლავრ მეტოქეებთან დაპირისპირება აარიდა.

და მართლაც — მთელი ტურნირის მსვლელობისას ჰიუიტს ზეათეულის მხოლოდ ერთ წარმომადგენელთან, ბრიტანელ ტიმ ჰენმანთან (4) მოუხდა თამაში, მის უმთავრეს კონკურენტებს — პიტ სამპრასს, ანდრე აგასის, მარატ საფინს, ევგენი კაფელნიკოვს, როჯერ ფედერერსა თუ ხუან კარლოს ფერეროს კი მეოთხედფინალებამდეც არ მიუღწევიათ. მოულოდნელმა ნახევარფინალისტებმა — არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა და ბელგიელმა ქსავიე მალისმა მას ისეთ ზორბა მოთამაშეებთან დაჯახებაც აარიდეს, როგორებიც უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონი რიჩარდ კრაიჩეკი, უეინ არტურსი თუ გრეგ რუზეცკი არიან...

სხვათა შორის, ნალბანდიანი პირველი არგენტინელია, ვინაც უიმბლდონის ფინალში ითამაშა.

*დავიდ ნალბანდიანი*



REUTERS

მისი დამარცხება ჰიუიტს არ გასჭირვებია — 6:1, 6:3, 6:2. ეგრე დამთრგუნველად ჯონ მაკინროის მიერ 1984 წელს ჯიმი კონორსის ძლევის შემდეგ (6:1, 6:1, 6:2) აღარც ერთ გამარჯვებულს ფინალისტი არ დაუმარცხებია.

ყოველივე ეს — ანუ მეტოქეთა სისუსტე და, მით უმეტეს, კონკურენტთა ჩაფლავება, ვერ აკნინებს ჰიუიტის წარმატების მნიშვნელობას. სხვა თუ არაფერი, მან ავსტრალიას 15 წლის განმავლობაში მოუგებელი ტიტული დაუბრუნა. უკანასკნელი ავსტრალიელი, ვინაც უიმბლდონის ჩემპიონი გახდა, პატ კეში იყო.

REUTERS

*იხილეთ 26-ე გვერდი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლევან კელაურაძე

„თავისუფალი ჩოგბურთი“ — გერმანელი რეჟისორის ზიგი გიოტცის ახალ ეროტიკულ ფილმს სწორედ ასეთი სათაური ექნება.

თუკი ვინმეს ამ რეჟისორის სახელი და გვარი არაფერს ეუბნება, საგანგებოდ მათთვის მოვიგონოთ:

ეს სწორედ ის კაცი გახლავთ, ვისმა მძლავრმა ტალანტმაც დაუვიწყარი „ბერძნული ლეღვი“, ყოფილ საბჭოეთში გვიანგარდაქმნისას შემოხეტებული ერთ-ერთი პირველი და არა მხოლოდ ჩვენში ფურორისმომხდენი სექსფილმი შექმნა.

აქაური ხვადები ამ ფილმს უფრო „გრეჩესკაია სმაკოვნიცად“ ვიცნობთ.

ჰერ გიოტცის ახალი ნამუშევარი სპორტის ქომაგებს უწინარესად იმით დაინტერესებს, რომ მასში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლად მსოფლიო ჩოგბურთის, მართალია, ლამის აწ უკვე ჩამოწერილი ვარსკვლავი, მაგრამ შეთავსებით სულ უფრო აშკარა სექსსიმბოლო ანა კურნიკოვაა მიწვეული.

ფილმის მოქმედება პლანეტაზე მომხდარი გლობალური ომის შემდეგ ვითარდება. ადამიანები, რომელთა კულტურული დონეც საოცრად დაქვეითებულია, მხოლოდ აქა-იქ, დედამიწის გადარჩენილ ადგილებში, ერთმანეთისგან მოწყვეტილ სოფლებში ცხოვრობენ.

ერთადერთი, რაც ამ სოფლებს აერთიანებს, პლანეტარული ტურნირია, რომელსაც „თავისუფალი ჩოგბურთი“ ეწოდება. ტურნირზე მოპაექრე მეჩოგნენი ერთმანეთს ორ ტონა ხორბალს ეცილებიან.

სიუჟეტის მიხედვით ანა კურნიკოვა ერთი დამშეული სოფლიდანაა. საიმისოდ, რათა სიკვდილის პირას მყოფი თანასოფლელები გადაარჩინოს, მან აუცილებლოდ უნდა გაიმარჯვოს.

როგორც თავად სექსანა ჰყვება, ფილმი აღვსილი იქნება დამბანგველი ეროტიკული სცენებით. ამგვარი სცენების სიმრავლეს ძირითადად ის განაპირობებს, რომ ადამიანები გვარიანად სამოსელგანძარცულნი არიან.

ყველაზე დაუფარავი კადრები მაყურებელს ფილმის ბოლოსკენ ელის, სადაც ანას ისედაც ღარიბულ სამოსსაც ჰპარავენ და ის იძულებულია, სულ მთლად შიშველმა ითამაშოს.

ანას სხვა გზა არა აქვს — ფსონზე ხომ მისი სოფლელების სიკვდილ-სიცოცხლეა.

*ეროტიკულ სცენებში ანა ენრიკე იგლესიასმა გაწაფა*

ინგლისი 2002. დგანან: ემილ პესკი, სოლ კემპბელი, დევიდ სიმენი, რიო ფერდინანდი, დენი მილსი, მაიკლ ოუენი.
სხედან: დარიუს ვასელი, ოუენ ჰარგრივსი, პოლ სქოულზი, დევიდ ბექემი, ეშლი კოული.

ესპანეთი 2002. დგანან: იკერ კასილიასი, ფერნანდო იერო, ლუის ენრიკე, ფერნანდო მორიენტესი, ივან ელგერა, რუბენ ბარახა.
სხედან: გუსტავო ხუან ფრანი, ხავიერ დე პედრო, რაული, ხუან კარლოს ვალეროონი, კარლეს პუიოლი.